

იპედი +

ყთველთვიური ჟურნალი მშობლული შესაძლებლობის მძინე პირებისათვის
№ 1 (61) იანვარი 2016 წ.



2015 წლის საუკეთესო პარასპორტსმენი ზვიად გოგოჭური

ცხელი ხაზი მშობლული შესაძლებლობების საკითხებზე

„შაკლავინის ასოციაციაში ბავშვებისათვის“ ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სერვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ მშობლული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე. სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, 10⁰⁰-18⁰⁰

ცხელი ხაზი: 558 055 588; 599 588 226

www.macgeorgia.org





ეს ჭაღარი ერთ ღრუს გზიერის გზვიანება იყო

ISSN 1987-7161 977198771600
მთავარი რედაქტორი
თეიმურაზ მიქიაშვილი 593 33 58 87 info.imediplus@gmail.com
რედაქტორი
მაია ასაკაშვილი asakashvili_maia@yahoo.com
დიზაინერი
მეგი ლაფაჩი
გამომცემელი
კავშირი „იმედი პლიუსი“
დაფუძნებლები
თეიმურაზ მიქიაშვილი კარლო მუხაშვიანი ალექსი მუხაშვიანი გიორგი მუხაშვიანი მიხეილ მიქიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია
ქ.თბილისი, 0179, ზ.ფალიაშვილის ქ. N47 ^ბ , მე-2 სადარბაზო, ბინა 12. 0 800 900 902 pr_imediplus@yahoo.com info.imediplus@gmail.com ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი, 0163, ჩუბინაშვილის ქ.N50

ჩვენს სამშობლოზე ჩვენვე ვაგებთ პასუხს.....	2
პირველად ამიერკავკასიაში.....	2
შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის	3
შშმ პირთა კეთილდღეობისათვის.....	4
მსოფლიოს პირველი შშმ თოჯინები უკვე გაყიდვაშია.....	4
პარაოლიმპიური მაცნე	5
2015 წლის საუკეთესო პარასპორტსმენი	5
საინვალიდო სპორტი	5
სპორტსმენთა განაწილება ფუნქციონალურ კლასებად ..	5
ქართველ პარაოლიმპიელთა 2015 წლის მონაგარი.....	8
კაცია ადამიანი?	9
მეტყველების დარღვევები.....	10
განსაკუთრებული საჭიროებები და	
შრომითი უფლებები.....	11
წერილი რედაქციას	14
ეპილეფსია და სტიგმატიზაცია	17
მასწავლეთ, როგორ დავიცვა შვილი საზოგადოებისგან! 21	
რა ეტაპზეა შშმ პირთა სტატუსის	
მინიჭების რეფორმა	23
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	25
ჰიპერაქტიური ბავშვი ნაწილი I.....	28
„ქართული ცენტრი“ ვაშინგტონში	30
ცერებრული დამბლა მედიცინის შეხედულებით	31



ჟურნალი გამოდის „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.

ყდის პირველ გვერდზე წლის საუკეთესო პარასპორტსმენი ზვიად გოგოჭური.
ყდის 2,3,4 გვერდზე თეიმურაზ მიქიაშვილის ფოტოები.



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.
ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭვდა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ახალი ამბები

ჩვენს სამუშაოზე ჩვენზე მეტად პასუხს... ყველა ერთად ვეძებთ, ავაშენოთ კლინიკი, საქმიანი, ლაღი ჰუმანი...



პირველი ლედის მაკა ჩიჩუას თქმით, 2016 წელს ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვაზე აქტიურად იზრუნებს. ამის შესახებ მან გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

„ჩემი ინტერესები უცვლელი რჩება - მინდა ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვაზე ვიზრუნო. მხარი დავუჭირო ქალებს, გარემოსა და ცხოველთა დაცვას. ეს თემები ყოველთვის იყო ჩემი საზრუნავი. თუმცა, პირველი ლედის

სტატუსმა საშუალება მომცა მეტი ინფორმაცია მიმელო, დავკავშირებოდი ადამიანებს, რომლებსაც იგივე ინტერესები ამოძრავებთ, გამეზიარებინა მათი გამოცდილება. ვფიქრობ, მათთან ერთად უფრო მიზანმიმართულად შევძლებ მოქმედებას. რამდენიმე კონკრეტული პრობლემის ადვოკატირებაშიც ვგეგმავ ჩართვას... ჩვენს სამშობლოზე ჩვენვე ვაგებთ პასუხს, ვფიქრობ, ყველა ერთად შევძლებთ, ავაშენოთ ძლიერი, საქმიანი, ლაღი ქვეყანა, სადაც ადამიანები ერთმანეთზე იზრუნებენ და ყველა თავის ღირსეულ ადგილს იპოვის...“ - განაცხადა ჩიჩუამ.

<http://accent.com.ge/ge/news/details/6368>

პირველად ამიერკავკასიაში

ნანა შარაშიძე



პირველად და პირველად ამიერკავკასიაში!!!! სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტით, შესაძლებელი გახდა ფეხბურთის მატჩების აუდიო აღწერილობითი კომენტარება!!!!!! უსინათლო ადამიანების დიდი ხნის ოცნებამისულიყვნენ დინამოს სტადიონზე და სხვების თანასწორად ენახათ მატჩები, 25 დეკემბრიდან რეალობად იქცა.

ჩვენი ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორების დახმარებით, ჩვენ ეს შევძელით!!!! აიბ „მომავალი ინცეა დღეს“ და აიბ „ქალი, ბავშვი და სოციუმი“ ამ პროექტის სულის ჩამდგმელია!!!! მადლობა ყველა ჩვენს გულშემატკივარს, მადლობა ჩვენი გუნდის

ყველა წევრს შრომისთვის, ფიქრისთვის, ერთგულებისთვის!!! თქვენ ხართ პროფესიონალები, გიყვართ ის საქმე, რომელსაც აკეთებთ და ამიტომაც ვართ ასე ძლიერები! გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას!!! მრავალ ახალ წელს!

შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის ახალი სამსახური შეიქმნა

„ლიბერალი“



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად, მხარდაჭერით დასაქმების სერვისის დანერგვა დაიწყო და შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის ახალი სამსახური შექმნა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ეს არის საქარ-

თველოში პირველი სისტემური მიდგომა შშმ და სსსმ პირთა დასაქმებისათვის.

მათი თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გასაუბრება 11 ადამიანის შესარჩევად (1 მხარდაჭერითი დასაქმების კოორდინატორი და 10 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი), რომლებიც შშმ და სსსმ პირებს პოტენციურ დამსაქმებლებს დააკავშირებენ და დასაქმებაში დაეხმარებიან.

„ინიციატივას წინ დიდი სამუშაოები უძღოდა - შემუშავდა მხარდაჭერით დასაქმების კოორდინატორისა და კონსულტანტის სამუშაო აღწერილობები, ითარგმნა ევროკავშირის მხარდაჭერითი დასაქმების ინსტრუმენტი. ახალი ინიციატივის თითოეულ ნაბიჯზე ქართულ მხარეს კონსულტაციას უწევდა მხარდაჭერითი დასაქმების ექსპერტი და საერთაშორისო კონსულტანტი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული მიმდინარე გასაუბრებების პროცესში“, - აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წელს დაიწყო. შედეგად, 2013 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, სსსმ და შშმ 426 პირი ჩაირიცხა 23 პროფესიულ სასწავლებელში, 30-მდე სხვადასხვა პროგრამაზე. სასწავლებელი დაამთავრა ჩარიცხულ სტუდენტთა 40%-მა, ხოლო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა მხოლოდ 31-ია. პირთა პროფესიული განათლება წარმატებულ ინიციატივად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუკი მას კურსდამთავრებულთა დასაქმება და პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზება მოჰყვება. შესაბამისად, განათლების სამინისტროსთვის აქტუალურ საკითხს, პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ, სსსმ სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერა წარმოადგენს.

„ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს ინფორმაცია, თუ ვინ არიან სამუშაოს მაძიებელი პირები, მათი ცოდნის, უნარებისა და ინტერესების შესახებ. შემუშავდა რეკომენდაციები, რომ არსებობდეს შუალედური რგოლი დამსაქმებლებსა და შშმ და სსსმ პირთა შორის და დამსაქმებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გარკვეულ ინფორმაციაზე წვდომის.

ამასთანავე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პუბლიკაცია დამსაქმებლებისათვის, სადაც განმარტებული იქნა, თუ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რატომ შეიძლება იყოს ეს მომგებიანი დამსაქმებლისათვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, 2015 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „შექმენი შესაძლებლობა“, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა შშმ და სსსმ პირთა მხარდაჭერით დასაქმების მოდელის გაცნობა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება სფეროში ჩართული უწყებებისა და სპეციალისტებისათვის. აღნიშნული კონფერენციის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ახალი ინიციატივის - მხარდაჭერით დასაქმების მექანიზმის პილოტირებას საქართველოში“, - ვკითხულობთ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შპს პირთა კეთილდღეობისთვის



თბილისი, 11 იანვარი, 2016 წელი - USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორმა - დაგლას ბოლმა და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა - ნოდარ ხადურმა ხელი მოაწერეს განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში აშშ-ს მთავრობის მიერ 4.95 მილიონ აშშ დოლარამდე თანხის გამოყოფას საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და დაუცველი ჯგუფების ჩართულობისა და ინტეგრირების მხარდასაჭერად.



USAID

FROM THE AMERICAN PEOPLE

აღნიშნული საგრანტო შეთანხმება დაეხმარება საქართველოს უფრო სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ეს რიგით მესამე შეთანხმებაა ორი ქვეყნის მთავრობას შორის; შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 22 დეკემბერს ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას, რომელთა ფარგლებშიც შემდეგი ხუთი წლის მანძილზე საქართველო მიიღებს 69.3 მილიონი აშშ დოლარამდე თანხას ქვეყანაში ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესების ხელშესაწყობად.

უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში ამერიკელი ხალხის მიერ საქართველოს პროგრამებისთვის გაღებული დაფინანსება 4 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. აღნიშნული სამი შეთანხმებით აშშ აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას. ეს შეთანხმებები ადასტურებს ამერიკის მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას ხელი შეუწყოს საქართველოს დემოკრატიულ, თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში.

<http://on.fb.me/22YWTsl>

მსოფლიოს პირველი შპს თოჯინები უკვე გაყიდვაშია



ბრიტანული კომპანია Makies პირველია, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თოჯინების წარმოება დაიწყო. კომპანია შთააგონა სოციალურმა კამპანიამ Toy Like Me (ჩემნაირი თოჯინა), რომელიც ამხნევებდა შპს ბავშვების მშობლებს და ურჩევდა მათ, რომ მათი შვილების თოჯინები უფრო რეალური გაეხადათ.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მშობლები თოჯინების საბოლოო შედეგებს ონლაინ აქვეყნებდნენ და მალე კამპანია ვირუსული გახდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა Makies-მა, რომ გამოეშვა თოჯინების ახალი ხაზი, რის შემდეგაც ბავშვებს მათი მსგავსი სათამაშოები ექნებოდათ.

ახალ თოჯინებს კამპანიის სახელი Toys Like Me ჰქვიათ. რამდენიმე მათგანი სამგანზომილებიანი პრინტირითაა დაბეჭდილი. ახალ თოჯინებს აქვთ სმენის და სიარულის პრობლემა და სახეზე დაბადებისა მიღებული ლაქა. Makies ეტლში მჯდარი თოჯინების გამოშვებასაც აპირებს.

პარალიმპიური მაცნა

სული მოძრაობაშია



2015 წლის საერთაშორისო პარასპორტსმენი

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი გვაცნობებს, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2015 წლის საუკეთესო პარასპორტსმენ მამაკაცად ძიუდოსტი ზვიად გოგოჭური დაასახელა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე პარადიუდოსტმა ჯერ სამხრეთ კორეაში გამართულ მსოფლიო თამაშებზე მოიგო ოქროს მედალი, რასაც პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონის ნოდებაც მიაყოლა, რითაც 2016 წლის პარალიმპიადის საგზურიც გაინაღდა.

რაც შეეხება წლის საუკეთესო პარასპორტსმენ ქალს, ამ ნომინაციაში, პარამოფარეკავე ირმა ხეცურიანმა იმარჯვა. ირმამ თავი არაპარალიმპიურ სახეობაში ხმლით ფარიკაობაში გამოიჩინა, ჯერ მსოფლიო ჩემპიონტზე ვერცხლის მედალი აიღო, ხოლო შემდეგ მსოფლიო თასზე პირველობა არავის დაუთმო. სამწუხაროდ, წარუმატებელი გამოდგა ირმას გამოსვლა პარალიმპიურ სახეობებში: დაშნითა და რაპირით ფარიკაობაში, თუმცა პარალიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად მას წელს კიდევ რამდენიმე შეჯიბრება ელის.



სპორტსმენთა განაწილება ფუნქციონალურ კლასებად

რომ ვუზრუნველყოთ შეჯიბრების სამართლიანი პირობები იმ სპორტსმენთა შორის, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკურ განვითარებაში სხვადასხვა დარღვევები, მათი ფუნქციონალური შესაძლებლობების და სამედიცინო მონაცემების შესაბამისად სპორტსმენებს ყოფენ სხვადასხვა ფუნქციონალურ კლასებად. ასეთი ფუნქციონალური კლასიფიკაცია ემყარება, უპირველეს ყოვლისა, სპორტსმენის შესაძლებლობებს და უნარ-ჩვევებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას იასპარეზოს განსაზღვრულ სპორტულ დისციპლინაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ნოზოლოგიურ ჯგუფს მიკუთვნებული სპორტსმენები (მაგალითად, სპორტსმენი ცერებრული დამბლით და სპორტსმენი, რომელსაც გააჩნია ზურგის ტვინის ტრავმა), შეიძლება მოხვდნენ ერთ ფუნქციონალურ კლასში ისეთ დისციპლინაში, როგორცაა ცურვა 100 მ-ზე თავისუფალი სტილით, რამდენადაც მათ გააჩნიათ ერთნაირი ფუნქციონალური შესაძლებლობები. ეს კეთდება იმისთვის, რომ სპორტსმენი შეეჯიბროს იმ სპორტსმენს, რომელსაც გააჩნია ერთნაირი ან



მისი მსგავსი ფუნქციონალური შესაძლებლობები.

ხანდახან, მაგალითად, მართონულ სირბილში შეჯიბრების დროს, სხვადასხვა ფუნქციონალურ ჯგუფს მიკუთვნებული სპორტსმენები, შეჯიბრში ერთად არიან ჩართული. მაგრამ მათ მიერ დაკავებული ადგილები განისაზღვრება მათი ფუნქციონალური კლასების შესაბამისად.

ყველა საერთაშორისო სპორტულმა ორგანიზაციამ (CP-ISRA, IWAS, IBSA, INAS-FID) შეიმუშავა სპორტსმენთა კლასიფიკაციის განსაზღვრის საკუთარი წესები. რომლებსაც ადგენენ მათ მიერ დანიშნული საერთაშორისო



ექიმი-კლასიფიკატორები. კლასი, რომელსაც მოცემულ დროს მიკუთვნებულია სპორტსმენი, შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს მისი ფუნქციონალური მდგომარეობის გაუარესების ან გამოკეთების შესაბამისად. ამიტომ სპორტსმენი თავის სპორტული მოღვაწეობის განმავლობაში, მრავალჯერ გადის სპორტულ – სამედიცინო კლასიფიკაციის პროცესს.

პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ყოველ სპორტსმენს ესინჯება საკლასიფიკაციო დოკუმენტაცია, და იმ სპორტსმენს, რომელსაც ესაჭიროება ხელახალი კლასიფიკაცია, ინვევენ საკლასიფიკაციო გასინჯვაზე (კომისიაზე). იქ საერთაშორისო სპეციალისტები

ადასტურებენ მინიჭებულ კლასიფიკაციას ან ანიჭებენ ახალს.

პარაოლიმპიურ თამაშებზე მოსულ კლასიფიკაციის მსურველ სპორტსმენტა დიდი რაოდენობით მოგროვების თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო ფედერაციები პარაოლიმპიური თამაშების ორგკომიტეტთან ერთად ცდილობენ კლასიფიკაცია მიანიჭონ მონაწილეთა *80% -ს.

ქვემოთ მოგვყავს ფუნქციონალური კლასების განსაზღვრის კრიტერიუმები.

- 1. მხედველობის დარღვევების მქონე სპორტსმენტა ფუნქციონალურ კლასებად განაწილება (შედეგინია უსინათლოთა საერთაშორისო ასოციაციის IBSA-ს მიერ).** უსინათლო სპორტსმენტა სპორტული კლასიფიკაცია უნივერსალურია ყველა სპორტის სახეობებისათვის, ხოლო მისი გამოყენება სხვადასხვა შეჯიბრებებში შეიძლება დამოკიდებული იყოს სპორტის სახეობაზე. მაგალითად, ჭიდაობა ძიუდოში სპორტსმენები მონაწილეობენ სპორტული კლასის გარეშე, გააჩნია მხოლოდ მსაჯობის თავისებურებები, რომელიც დამახასიათებელია B1 კლასისათვის, ხოლო ცურვისა და თხილამურებით რბოლისათვის მნიშვნელოვანია სპორტულ კლასებთან მკაცრი შესაბამისობის დაცვა.

კლასიფიკაცია ითვალისწინებს მხედველობის ორგანოს ორ ძირთად მხედველობითი ფუნქციის მდგომარეობას: მხედველობის სიმახვილეს და მხედველობის ველის პერიფერიულ საზღვრებს.

უსინათლოთა სპორტის საერთაშორისო ასოციაციის სპორტულ-სამედიცინო კლასიფიკაციის კრიტერიუმები

სპორტული კლასები	მხედველობითი ფუნქციის მდგომარეობა
B 1 კლასი	შუქის პროექციის უქონლობა, ან შუქის პროექციის არსებობის დროს, ნებისმიერ მანძილზე და ნებისმიერი მიმართულებით ხელის ჩრდილის განსაზღვრის უუნარობა.
B 2 კლასი	მხედველობის უნარიდან გამომდინარე ნებისმიერ მანძილზე ხელის ჩრდილის განსაზღვრა, მხედველობის სიმახვილის 2\60 (0.03) ქვემოთ, ან მხედველობის ველის 5 გრადუსამდე შევიწროების შემთხვევაში.
B 3 კლასი	მხედველობის სიმახვილიე 2\60 მეტი, მაგრამ 6\60 (0.03-0.1) დაბლა, და/ ან მხედველობის ველის კონცენტრირებული შევიწროვების 5 გრადუსზე მეტი, მაგრამ ანაკლები 20 გრადუსისა.

***კლასიფიკაცია ტარდება უკეთეს თვალზე უკეთესი ოპტიკური კორექციის პირობებში. თითების დათვლა განისაზღვრება კონტრასტულ ფონზე. მხედველობის ველის საზღვრები დგინდება მოცემული პერიმეტრის მაქსიმალური ნიშნით.**

სპორტსმენს, რომელსაც გააჩნია მხედველობის ველი 1.0-ზე მეტი და მხედველობის ველის პერიფერიული საზღვრები ფიქსაციის წერტილიდან 20 გრადუსზე ფართო, არ დაიშვება მხედველობის დარღვევებით ინვალიდობის მქონე სპორტსმენტა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

IBSA-ს მიე მიღებული წესების თანახმად სპორტსმენები, რომლებიც გამოდიან B1კლასში, შეჯიბრებების დროს ვალდებული არიან იქონიონ შუქგაუმტარი სათვალეები, რომელიც კონტროლდება მსაჯების მიერ.


უსინათლოთა და სუსტადმხედველთა კლასიფიკაციას აწარმოებენ მხოლოდ ექიმი-ოფთალმოლოგები. აღნიშნული ნოზოლოგიის მქონე სპორტსმენტა კლასიფიკაციის ჩატარება

უფრო მიზანშეწონილია განხორციელდეს უსუნათლოთა და სუსტადმხედველთა სკოლებში სწავლის პერიოდში, რამდენადაც, იქ უკეთესად არის შესაძლებელი, როგორც სანვრთნო მუშაობის, ასევე მხედველობითი ფუნქციის მდგომარეობის დინამიკაზე დაკვირვების სამუშაოების ჩატარება.

2. საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანების მქონე სპორტსმენთა ფუნქციონალურ კლასებში განაწილება.

2.1. საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანების მქონე პირთა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია (IWAS)

ამპუტაციის მქონე სპორტსმენთა კლასიფიკაცია



ამპუტირებულთა სპორტულ-სამედიცინო კლასიფიკაცია დაყოფილია თავისი არსით ერთმანეთისაგან განსხვავებულ 9 კლასად და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

A-A1 კლასი – გააჩნია ბარძაყის ორმხრივი ამპუტაცია (ტაკვის სიგრძის მიუხედავად).

A-A2 კლასი – ბარძაყის ერთმხრივი ამპუტაცია. ბარძაყის ერთმხრივი ამპუტაცია ტერფის ამპუტაციასთან ერთად.

A-A3 კლასი – წვივის ერთმხრივი ამპუტაცია, ტერფის ამპუტაციასთან ერთად.

ამ კლასში გაერთიანებულია ძირითადად ის პირები, რომლებსაც დაკარგული აქვთ ორი საყრდენი (მაშინაც კი, თუ შენარჩუნებულია ერთი მუხლის სახსარი).

A4 კლასი – წვივის ერთმხრივი ამპუტაცია. წვივის ერთმხრივი ამპუტაცია მეორე ფეხის ტერფის ამპუტაციასთან ერთად. ტერფის ორმხრივი ამპუტაცია (ქუსლზე კარგი ყრდნობა).

A- A5 კლასი – მხრის ორმხრივი ამპუტაცია (ტაკვის სიგრძის მიუხედავად), მხრის სახსრის ორმხრივი გაყოფა.

A-A6 კლასი – მხრის ერთმხრივი ამპუტაცია, ტერფის ამპუტაციასთან ერთად. მხრის ერთმხრივი ამპუტაცია სხვადასხვა სიმაღლეზე ტერფის ამპუტაციასთან ერთად.

A-A7 კლასი – წინამხრის ორმხრივი ამპუტაცია. წინამხრის ამპუტაცია, მეორე მხრის ამპუტაციასთან ერთად.

A-A8 კლასი – წინამხრის ერთმხრივი ამპუტაცია. მინიმალური ფიზიკური უკმარობა – ამპუტაცია გაკეთებულია სხივ-მაჯის სახსარში. წინამხრის ამპუტაცია ტერფის ამპუტაციასთან ერთად და ტერფის სხვა ამპუტაციური დეფექტით.

A-A9 კლასი – ზედა და ქვედა კიდურების შერეული ამპუტაცია. წინამხრის ერთმხრივი ამპუტაცია, თეძოს ერთმხრივ ამპუტაციასთან ერთად. წინამხრის ერთმხრივი ამპუტაცია წვივის ამპუტაციასთან ერთად.

იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ კიდურების გამოხატული განუვითარებლობა (არ გააჩნიათ ხელის მტევნები, ტერფები, მხარი და ა.შ.) გათანაბრებული არიან ამპუტირებულებთან და კლასიფიცირდებიან ზემოთ ნაჩვენები სქემის მიხედვით.

კომბინირებული ამპუტაციის შემთხვევაში ეყრდნობიან ინდივიდუალურ მაჩვენებლებს და სპორტსმენების კლასიფიკაცია წარიმართება სპორტის იმ სახეობების მიხედვით, რომელ სახეობაშიც მონაწილეობენ.

კლასებში განაწილების დროს ზურგის ტვინის დაზიანების ან დაავადების მქონე პირებს უსაზღვრავენ დაზიანების დონეს და ფუნქციის დარღვევის ხასიათს. მოძრაობითი შესაძლებლობის დადგენის დროს გამოიყენება მანუალურ-კუნთური ტესტების (მკტ) მეთოდიკა, რომელიც აწესრიგებს ცალკეულ კუნთთა ჯგუფების ძალის განსაზღვრას ქულებში

სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებულ სპორტსმენთა კლასიფიკაცია

- 1 კლასი. ოთხივე კიდურის ფუნქციის მნიშვნელოვანი შეზღუდულობა.
- 2 კლასი. სამი ან ოთხი კიდურის ფუნქციის შეზღუდულობა.
- 3 კლასი. აუცილებელი ფუნქციების შეზღუდულობა (სულ მცირე ორი კიდურის შეზღუდულობა).
- 4 კლასი. ორი ან მეტი კიდურის მოძრაობითი ფუნქციის შეზღუდულობა, მაგრამ შეზღუდულობა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე მე-3 კლასში.
- 5 კლასი. ერთი კიდურის ფუნქციის შეზღუდულობა.
- 6 კლასი. აუცილებელი ფუნქციების უმნიშვნელო შეზღუდულობა.

ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ კიდურების გამობატული განუვითარებლობა (არ გააჩნია ხელის მტევნები, ფეხის ტერფები, მხრები, ბარძაყები, და ა.შ.) კლასიფიკაციით უტოლდებიან ამპუტირებულებს და კლასიფიცირდებიან ზემოთაღნიშნული სქემით.

კომბინირებული ამპუტაციის შემთხვევაში უნდა მივუდგეთ ინდივიდუალურად და კლასიფიკაცია მივცეთ იმ სპორტის სახეობის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობს სპორტსმენი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქართულ პარალიმპიკელთა 2015 წლის მონაგარი

გიორგი გულბანი



2015 წელი საქართველოს პარასპორტსმენთათვის, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენმა ათლეტებმა, ყველაზე მაღალი რანგის პირველობებიდან მთლიანობაში 25 მედლის მოხვეჭა შეძლეს, რომელთაგან 6 უმაღლესი სინჯისაა, 9 ვერცხლია, ხოლო დანარჩენი 10 მედალი, მესამე ადგილისთვისაა განკუთვნილი და შესაბამისად ბრინჯაოა. გასული წლის შედეგებიდან, გამორჩევას იმსახურებს, ძიუდოსტის ზვიად გოგოჭურის გამოსვლა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე, ქართველი ფალავანის დებიუტი პარასპორტში სწორედ 2015-ში შედგა და ზვიადმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 29 წლის

პარაძიუდოსტმა, ჯერ მსოფლიო თამაშებზე შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, ხოლო შემდეგ კონტინენტის პირველობაზეც გამოსვლა მაქსიმალური შედეგით დაასრულა. ნაჩვენები შედეგების მიხედვით, ზვიადამ 2016-წლის პარალიმპიადის ლიცენზიანტთა შორის ადგილი მყარად დაიმკვიდრა. სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს მკლავჭიდებელმაც. საქართველოდან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, გასულ წელს, პირველად მოხერხდა ერთზე მეტი ათლეტის მონაწილეობა. გამოცდილ ბესიკ ლეკიაშვილთან ერთად, წლის უმთავრეს ფორუმზე ამჯერად, ახალბედებმა ზურაბ ბუცხრიკიძემ, ვახტანგ ახოზაძემ და ზურაბ სოხაძემაც იასპარეზეს. ყველაზე წარმატებულად ბუცხრიკიძე ზურაბი გამოვიდა, რომელმაც ევროპაზე ნაჩვენები ორი ვერცხლის შემდეგ, მსოფლიოზე საკუთარი შედეგი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპაზე აღებული ვერცხლი, მსოფლიოზე ოქროთი გააუმჯობესა ვახტანგ ახოზაძემ, მის ანგარიშზე კონტინენტის პირველობაზე აღებული ორი მეორე ადგილი და მსოფლიოზე ოქრო და ბრინჯაოა. 2013-14 წლების საუკეთესო ქართველი პარასპორტსმენი ბესიკ ლეკიაშვილი, ამჯერად ყველა ტურნირზე ვერცხლის მედლებს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლებით დახუნძლული წელი ჰქონდა ზურაბ სოხაძეს, რომელმაც თავისი სადებიუტო სეზონი ყველა ტურნირზე მესამე ადგილით აღნიშნა. საკმაოდ კარგად გამოვიდნენ ეტლით მოფარიკავეებიც. ირმა ხეცურიანმა, არაოლიმპიურ სახეობაში, ხმლით ფარიკაობაში ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძლო მეორე ადგილზე გასვლა და ვერცხლის მედლის მოპოვება, ხოლო შემდეგ მსოფლიო თასი მოიგო. მედლის გარეშე არ დარჩენილა დიანა ჯიშიაშვილი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე დაშნაშიც და რაპირაშიც ერთნაირი შედეგი აჩვენა და ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ანალოგიური მაჩვენებლით დაასრულა გასული წელი 23 წლამდელთა შორის მოასპარეზე კდივე ერთმა ქართველმა ეტლით მოფარიკავემ ნონო თიბილაშვილმაც. 2015-ში, უმედლოდ არ დარჩენილა, პირველი ქართველი პარამოცურავე ნიკა თვაურიც. ნიკამ 50 მეტრი ბრასით შეჯიბრება მესამე ადგილზე დაასრულა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მოპოვებული პირველი მედალი ქართულმა პარასპორტმა სპორტულ ცეკვებში მოიპოვა. ყაზახეთის ლია ჩემპიონატზე, წარმატებით იასპარეზა ეტლით მოსარგებლე თემო არაბიძისა და ქეთევან ზაზანაშვილის წყვილმა და წარმატებული სეზონის დაწყებას დაუდო სათავე. დიდი პარასპორტულ ფორუმებზე მიღწეული წარმატებების გარდა, 2015 წელს ასევე იყო გარკვეული შედეგები მშვილდოსნობაში, ტყვიით სროლასა და ნოლჭიმში, რაც პარალიმპიურ კომიტეტსა და გულშემმატკივრებს, მომავლისთვის ამ სახეობებშიც მედლებზე ფიქრის რეალურ იმედს აძლევს...

SOS

კახია ალაშიანი?

ქალბატონი თინა ბრეგვაძე, ქ. გორის დღის ცენტრის ხელმძღვანელი 19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღეს თავის ფეისბუქზე გამოაოგნებელ ცნობას აქვეყნებს. ისლა დაგვრჩენია უცვლელად გაგაცნოთ ეს ამბავი. ჩვენ კი ამ ცნობამ დიდი ილიას უკვდავი შედეგრი გაგვანსენდა და ამ ამბავსაც კაცია ადამიანი ვუნოდეთ.

„დიდხანს ვიფიქრე მომეთხრო თუ არა თქვენთვის ეს ამბავი, რადგან ნათლისღების ბრწყინვალე დღეს არ დამემძიმებინა თქვენთვის გული. მაგრად იმდენად გამოაოგნა და შემძრა ამ ამბავმა, არ შეიძლება ეს უბრალოდ გავატარო და საზოგადოების მსჯელობის საგანი არ გავხადო.

გუშინ სამსახურიდან წასვლას ვაპირებდი. კარზე კაკუნის ხმა მომესმა, მობრძანდით მეთქი გავძახე, კარი გაიღო და ოთახში ჩვენი დღის ცენტრის შუშ ბავშვის მამა შემოვიდა განერვიულებული, გული ხელით ეჭირა. დავამშვიდე, ვთხოვე სკამზე დამჯდარიყო., ვკითხე რა მოხდა, ასე რამ გაგანერვიულათქო. ისე იყო, ვერ საუბრობდა, კიდე გაუმეორე. მითხრა ქალბატონო თინა, თქვენ ხომ იცით ჩემი ამბავი, ნოდისკოს მკურნალობას გადავეყვი, ბავშვს მაინც ვერაფერი ვუშველე და ვალებში ვარო. ბინა გადავცვალე გვერდით სადარბაზოში, რომ ვალი გაგტვესტუმრებინა. მივედი ბინის სანახავად . როცა სადარბაზოში შევედი, მეზობელი გამოვიდა და მითხრა მე შენ შვილს ამ სადარბაზოში ვერ ვატარებო, იმას მე ყოველდღე ვერ ვუყურებ, არ შემიძლია მისი ყურებაო. მე ვუთხარი, შენ ჩემი შვილი რას გიშლის, შენ ხომ არ უნდა ატარო ის მე უნდა ვატაროო, არა მე არ მინდა აქ რომ გადმოხვიდეთ საცხოვრებლად მე მაგას ყოველ დღე ვერ ვუყურებ , განა რამდენ ხანს იცოცხლებს, მაგრამ მაინც არ მინდა რომ გადმოხვიდეთო, ამ სიტყვების გაგონებაზე, ამბობს ბავშვის მამა, გეგონება ქვეყანა თავზე ჩამომექცაო, რამდენი უსიამოვნება, რამდენი რამე გადამხდენია თავს, მაგრამ ასეთი რამ ჩემთვის არავის უთქვამს ,,განა რამდენ ხანს უნდა იცოცხლოსო შენმა შვილმაო, სახლში გაოგნებული ნამოვედი სახლში მოვედი და ჩემი ცოლი გულწასული დამხვდა, თურმე მისთვისაც ოჯახის დიასახლისს დაურეკავს და იმასაც იგივე უთქვამს ჩემი ცოლისთვისო. ცუდად ვარ, რა ვქნა აღარ ვიციო, ვიფიქრე ბინას გავყიდი ვალებს გავისტუმრებ და ახლა ესო, რაკი ჩემი შვილი შუშ პირია არავის უნდა ჩემი მეზობლობა, რა გზას დავადგე როგორ მოვიქცე მირჩიე რამეო.. მე მართლა შემძრა ამ ამბავმა. სიმართლე გითხრათ, ნუთუ ასეთი დაბალი დონის ადამიანები 21 საუკუნეში ცხოვრობენ ნამდვილად არ მეჯერა. ვკითხე რა პროფესიის არიან მეთქი ან შვილები თუ ყავთ მეთქი, მითხრა ქმარი ექიმი, ცოლი პედაგოგიო ,ორი შვილის ყავთო.

ნუთუ ღმერთის არ ეშინია. მომავალში რა იქნება ხომ წინასწარ არავინ ვიცით,. დანარჩენი თქვენთვის მომინდევია ჩემო მკითხველო, მათი განათლება და შეგნება. ნოდისკო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია, ის სწავლობს, როგორც სკოლაში ასევე კეთილდღეობისა და განვითარების დღის ცენტრში, ძალიან მეგობრული და საყვარელი ბიჭია. რა არ გააკეთა მისმა მშობლებმა მის სამკურნალოდ, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ამიტომ, რომ ისინი ბინას ყიდდნენ და უფრო პატარა ბინაში გადადიოდნენ, აი ახლა ესეც აუკრძალეს. თურმე იქ არ უნდა გადავიდნენ იმის გამო რომ მის შვილს ვერ უყურებენ. როგორი უღმობელი უნდა იყო ადამიანი, გული ატკინო ისედაც გულმოკლულ მშობელს. ნათლისღების მადლმა გაუნათოს გული და გონება , გონება დაბინდულ ადამიანებს. ხელი მოუმართოს უფალმა და დალოცოს ნათლისღების ნაკურთხი წყალით განკურნოს, გულნატკენი ადამიანები, ტკივილი ჩაუცხროს გააძლიეროს და დაიფაროს.“

აი, ამას გვატყობინებს ქალბატონი თინა და მიუხედავად იმისას, რომ ეს ადამიანები ძალიან დიდი გაკიცხვას იმსახურებენ, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს ეკადრება, ქალბატონი თინა ლმობიერად ამთავრებს თავის წერილს.

მაგრამ ისმება კითხვა - ასეთი ექიმი და ასეთი პედაგოგი უნდა მუშაობდნენ ასეთ ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, სადაც კაცთმოყვარეობა, თანადგომა, ჰუმანურობა, სინდისი და ღირსება პირველ ადგილზე უნდა იდგეს? ან და ასეთი მეზობელი როგორ უმეზობლებს სხვას, რომელსაც ოდნავ მაინც დაემუქრება რაიმე განსაცდელი? ან კიდე ქვეყნის ავტოდობის ჟამს გაიზიარებენ ისინი სხვის წუხილს და განსაცდელს?. ეს ადამიანები საზოგადოებისაგან ცალკე მდგომი ხალხია, რომლებიც ვერ ითავისებენ სხვის განსაცდელს, ტკივილს და დარდს.

ასეთი ექიმი და ასეთი პედაგოგი ვერ შეასრულებს მათზე დაკისრებულ ყველაზე საპატიო მისიას - იდგეს ადამიანის სიცოცხლის, განათლებისა და აღზრდის სადარაჯოზე. ეს ქმედება განათლების, და მეცნიერების სამინისტრომ, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ქ. გორის შესაბამისმა უწყებებმა უნდა გახადონ მსჯელობის საგნად და საკადრისად შეაფასონ ამ ადამიანების ქმედება.

ჯუბლიანობა

უკანასკნელ წლებში გლობალური ტექნოგენიზაციის კვალდაკვალ ელვის სისწრაფით იმატა ფსიქო-ემოციური წრის დარღვევებმა, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა. რამდენჯერმე გაიზარდა მეტყველების ნებისმიერი ტიპის დარღვევათა რაოდენობა. გაჩნდა ისეთი პათოლოგიები, რომელთა შესახებაც ცოტა ხნის წინ მედიცინისთვის არაფერი იყო ცნობილი.

მეტყველების დარღვევა – როდის მივმართოთ მეტყველების თერაპევტს

ეკა ჭავჭავაძე

„მეტყველების განვითარების და კორექციის ცენტრი - ლოგომედის“ ხელმძღვანელი



უკანასკნელ წლებში გლობალური ტექნოგენიზაციის კვალდაკვალ ელვის სისწრაფით იმატა ფსიქო-ემოციური წრის დარღვევებმა, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა. რამდენჯერმე გაიზარდა მეტყველების ნებისმიერი ტიპის დარღვევათა რაოდენობა. გაჩნდა ისეთი პათოლოგიები, რომელთა შესახებაც ცოტა ხნის წინ მედიცინისთვის არაფერი იყო ცნობილი. ბავშვების დაგვიანებულმა ამეტყველებამ ერთგვარი ეპიდემიური ხასიათი მიიღო, საგრძნობლად დაინია ბავშვის ლექსიკური მარაგის მაჩვენებელმა, თუ წინათ 2 წლის ბავშვს, ასაკობრივი ნორმიდან გამომდინარე 200-მდე სიტყვის თქმა და შინაარსობრივი ანალიზი მოეთხოვებოდა, დღეს ეს უკვე 3 წლის ბავშვების გადასაჭრელ ამოცანად

მიიჩნევა. რატომ აგვიანებენ ბავშვები ლაპარაკის დაწყებას? – სულ უფრო ხშირად გვესმის შენუხებული მშობლების შეკითხვები. ზოგჯერ მიზეზის დადგენა ხერხდება, ზოგჯერ კი პასუხის პოვნა შეუძლებელია. მეტყველების დარღვევები საკმაოდ ბევრი სერიოზული მდგომარეობის თუ დაავადების პირველი კლინიკური ნიშანია, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, როდესაც პატარა ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობს, ან გარკვეული დეფექტებით საუბრობს. მეტყველების დარღვევათა გალერეა მიუხედავად თანამედროვე ტიპის მეტყველების დარღვევების მრავალფეროვნებისა, მაინც შესაძლებელია მათი ორ დიდ ჯგუფად დაყოფა: I – მდგომარეობები, როდესაც მეტყველება, როგორც ფუნქცია განუვითარებელია, ან არ არის სათანადო დონეზე განვითარებული. II – მდგომარეობები, როდესაც უკვე განვითარებული მეტყველების ფუნქციის ფონზე აღინიშნება გარკვეული დეფექტები და წარმოთქმის პრობლემები. I ჯგუფს ეკუთვნის დღეს ყველასთვის კარგად ნაცნობი აუტიზმი და აუტისტური სპექტრის აშლილობანი, ცერებრული დამბლისა და დაუნის სინდრომისთვის, სმენის დაქვეითების და ადრეული განვითარების ეტაპების შეყოვნებისთვის დამახასიათებელი მეტყველების ფუნქციის განუვითარებლობა. II ჯგუფს ეკუთვნის ე.წ. ლოგოპედიური პრობლემები, რომელთა დროსაც პატარა დამახინჯებით წარმოთქვამს ბგერებს, ურევს მათ ერთმანეთში, კვეცავს სიტყვების ბოლოებს და სხვა. ამავე ჯგუფში შედის ყველასთვის კარგად ნაცნობი ლოგონევროზი – ენაბორძიკი, როცა სამეტყველო აპარატის სხვადასხვა სექტორში გაჩენილი კრუნჩხვების გამო, დარღვეულია თავისუფალი მეტყველების რიტმი და ტემპი. როგორ აღმოვაჩინოთ I ჯგუფის დარღვევები? საკმაოდ ბევრი ფიქრობს, რომ მეტყველების თერაპევტთან ვიზიტი მაშინ არის საჭირო, როდესაც უკვე ამეტყველებული ბავშვი, ვერ ახერხებს სრული არტიკულაციით რომელიმე

გაგრძელება ➔

ბგერის წარმოქმნას, სწრაფად ან პირიქით ძალიან ნელა საუბრობს, სინამდვილეში მეტყველების თერაპევთან ვიზიტი მაშინაა საჭირო, როდესაც ბავშვი თავისი ასაკობრივი ნორმიდან გამომდინარე არ ჩქარობს ამეტყველებას, არ იყენებს სიტყვებს ადამიანებთან ურთიერთობისას და სიტყვა მისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ასაკობრივ ნორმებს: წლის ასაკში ბავშვი უნდა ამბობდეს სიტყვებს, 2 წლის პატარა უკვე უნდა ახერხებდეს მარტივი ორსიტყვიანი წინადადებებით საუბარს და თავისი სურვილების ვერბალური, ე.წ. სიტყვიერი გზით გამოხატვას. მიმართეთ მეტყველების თერაპევტს, თუ: _ 2 წლის ასაკში პატარა არ მეტყველებს საერთოდ; _ 2 წლის ბავშვი _ არ ჩქარობს მშობლიურ ენაზე ამეტყველებას, სანაცვლოდ კი ადვილად იხეპირებს უცხოენოვან ანბანს, თვლას, ფერებს, საუბრობს სინტაქსური წესების დარღვევით და ახასიათებს ე.წ. აგრამატიზმი. _ პატარა არავერბალურია, გააჩნია რამდენიმე სპონტანური ვოკალიზაციის ბგერა, რომელსაც იგი არამიზნობრივად გამოსცემს. _ ბავშვს ბგერები და მარცვლები აქვს, საუბრობს, მაგრამ საგნებს არქმევს თავის სახელებს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საგნის რეალურ დასახელებასთან, ესენი არიან არაკონვენციური, ე.წ. ჟარგონულ ენაზე მეტყველი ბავშვები, რომელთა ერთ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ინტონაცია, ის ემოცია, რასაც იგი კონკრეტულ მომენტში ჟარგონით გამოხატავს ადექვატურია მისი სურვილისა. მაგალითად თხოვნას თავისი ფორმა გააჩნია, პროტესტს _ თავისი, თუმცა არსებობენ არაკონვენციურად მეტყველი ბავშვები, რომლებიც ემოციებს არაადექვატურად გამოხატავენ და ეს მათი სურვილებისა და მიზნების გაგებას რამდენადმე

ართულებს. _ ბავშვი საუბრობს ე.წ. ექოლალიებით, სარკული მეტყველება _ რასაც ეუბნებით იგივეს იმეორებს, შესაძლოა არტიკულაციისა და მართლმეტყველების სრული დაცვით, მაგრამ თავად მიზნობრივად არ საუბრობს, არ ამბობს ყველაზე მარტივ მიზნობრივ წინადადებებსაც კი, მიუხედავადიმისა, რომ ურთულესი შენების ფრაზაც კი შეუძლიათ უშეცდომოდ გაიმეოროს. _ ბავშვი საუბრობს აკვიატებული ფრაზებით, იმეორებს მულტფილმში გაგონილ სიტყვას, ფრაზას, ან იმ წინადადებას, რომლითაც მას მიმართავენ. _ ბავშვი საუბრობს არაბუნებრივ ხმაზე. თუ 2 წლის ასაკში ბავშვი არ საუბრობს მარტივი წინადადებებით, ეს ყოველთვის რაიმე პათოლოგიური მდგომარეობას არ ნიშნავს, თუმცა სრული დაცვისთვის აუცილებელია პატარა ერთხელ მაინც ვაჩვენოთ ნეიროფსიქოლოგს, ან მეტყველების თერაპევტს. როგორ აღმოვაჩინოთ II გჯუფის დარღვევები? ამ გჯუფის დარღვევებზე მიუთითებს შემდეგი ფაქტორები: _ 3 წლის ასაკში ბავშვი გამართულად ვერ წარმოთქვამს შემდეგ ბგერებს: პ, ბ, ზ, ვ, ფ, გ, ქ, კ. _ 4 წლის ასაკში უჭირს: სისინა ბგერების (ს, ზ, ც, წ, ძ) წარმოქმნა; _ 5 წლის ასაკში _ შიშინა ბგერებს (შ, ჩ, ჟ, ჯ, ჭ) აკლია ჟღერადობა; ამავე ასაკში ბავშვი უნდა გამართულად ამბობდეს რ და ლ-ს. _ 5 წლამდე შესაძლოა ბგერათა დამახინჯებული წარმოქმნა ასაკობრივად მივიჩნიოთ, თუმცა თუ პატარას საჭირო ასაკში საერთოდ არ აქვს ესა თუ ის ბგერა, ან წარმოთქვამს მათ არტიკულაციის უხეში დარღვევით: ყელისმიერად, გვერდულად, ცხვირისმიერად, კბილთაშუა, მაშინ აუცილებელია ბავშვი ვაჩვენოთ მეტყველების თერაპევტს, რათა გამოირიცხოს ენის, ყბის, სასის, ხახის თანდაყოლილი ანომალიები, რომლებიც დაუყოვნებლივ ორთოდონტულ ჩარევას საჭიროებს.

ჩვენ და საზოგადოება

განსაკუთრებული საჭიროება და ურთიერთ უშუალება

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა შრომითი უფლებებით სარგებლობის საკითხი კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს, რაც მრავალი სირთულიდან გამომდინარეობს. შუამ პირთა ღია შრომით ბაზარზე მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს როგორც არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, ასევე პრაქტიკასა და გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში განმტკიცებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის სხვა უფლებებთან, მათ შორის

განათლებაზე, რეაბილიტაციასა და აბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი.

მართალია, კანონმდებლობა ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, იყენონ დასაქმებულნი სხვადასხვა სამუშაო ადგილზე, თუმცა, იგი არ მოიცავს საკანონმდებლო გარანტიებსა და მექანიზმებს, რაც აღსრულებადს გახდის არსებულ ნორმებს. შესაბამისად, სხვა მნიშვნელოვანი ჩანაწერების არარსებობის პირობებში, რაც კანონის ქმედითობას უნდა უზრუნველ-



ყოფდეს, მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შპმ პირი, რაც საქართველოს საერთო მოსახლეობის (3 729.5) დაახლოებით 3%-ია. როგორც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“, მოიაზრებენ, შპმ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას სამინისტროს მიერ მონოდედებული ინფორმაცია ასახავს, რადგან სახელმწიფო შპმ პირთა ოდენობას მხოლოდ სოციალური პაკეტის პირთა რაოდენობის მიხედვით აღრიცხავენ. აღნიშნულ მოსაზრებას ამართლებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ქვეყნების უმეტესობაში შპმ პირთა რიცხვი, საშუალოდ - 10%-ს აღწევს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი შპმ პირია საქართველოში დასაქმებული, არ გააჩნია, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის საერთო სურათის დანახვას. საჯარო სამსახურის ბიუროს 2013/2014 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში საჯარო სექტორში 100 000-ზე მეტ საჯარო მოსამსახურეს შორის სულ დასაქმებულია 24 შპმ პირი, რომელთაგან 5 სამინისტროში, 18 ადგილობრივ თვითმმართველობებში და 1 სხვა სახელმწიფო დაწესებულებაშია დასაქმებული.

„სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში შრომითი უფლებების სათანადოდ რეალიზება ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, მაღალია უმუშევრობის დონე. მათ შორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, საზოგადოების სხვა წევრების თანაბრად აქვთ უფლება საკუთარი შრომით უზრუნველყონ პირადი ცხოვრება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის. ერთ-

ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით მოწყობილი გარემოსა და ადაპტირებული სამუშაო ადგილების არარსებობა. მწირია საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლების სათანადო რეალიზება. საქართველოში შპმ პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირებისა და ძალაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისაში მოვიდეს კონვენციის პრინციპებთან და მოთხოვნებთან. სასურველია დანესდეს კვოტირების სისტემა, რომლითაც დამსაქმებლებს ექნებათ ვალდებულება სამუშაოზე მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორზე“, - ასე აფასებს ირინე ობოლაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა შრომით უფლებებსა და მდგომარეობას შრომით ბაზარზე.

ირინე ობოლაძის თქმით, გარდა კანონმდებლობისა, სადაც შპმ პირების საჭიროებები არ არის სათანადოდ ასახული, დასაქმებისას, პრობლემებს განათლებასთან დაკავშირებული საკითხებიც ქმნის:

„ინკლუზიური განათლების უწყვეტობა და მისი ხარისხი პირდაპირ კავშირშია ამ პირთა შრომითი უფლებების რეალიზებასთან. ადაპტირებული გარემოს არარსებობა, სწავლების ყველა საფეხურზე საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოების არარსებობა ასევე ხელისშემშლელი ფაქტორებია. შპმ პირებს, ხშირად, მხოლოდ დაწყებითი ან ზოგადი განათლება აქვთ, რაც არ არის საკმარისი დასაქმებისთვის. პროფესიული განათლების მიღების შემთხვევაშიც კი დაბალია მათი შრომითი მოწყობის ალბათობა, რაც უკვე დასახელებული მიზეზების გარდა განპირობებულია იმიტაც, რომ პოტენციურ დამსაქმებლებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ შპმ პირთა საჭიროებების, შესაძლებლობების, მათი უფლებების შესახებ. პროფესიული ინკლუზიური განათლება წარმატებულ პროცესად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, თუ მას შედეგად მოჰყვება პირის შრომითი მოწყობა და პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზება...“

როგორც ირინე ობოლაძე აღნიშნავს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლებების რეალიზების მიზნით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ამ პირთა



მონაწილეობას, ადამიანური რესურსების განვითარებას და სხვა შესაბამის პროცესებს. მისი თქმით, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება, მაგრამ სახელმწიფო ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

ჯანდაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, თეა სტურუას თქმით, 2013 წლიდან დღემდე, დეპარტამენტის შუამავლობით, სხვადასხვა კერძო კომპანიაში 25 შპს პირი დასაქმდა. დასაქმების დეპარტამენტი 2 წელია, რაც შეიქმნა და მისი ფუნქცია დასაქმების მსურველებისა და კერძო სექტორის ერთმანეთთან დაკავშირებაა. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი დასაქმების მსურველებს მხოლოდ იმ კომპანიებთან უწევს საშუამავლო მომსახურებას, სადაც დამსაქმებელ-დასაქმებულის ურთიერთობა შრომის კოდექსით რეგულირდება.

დეპარტამენტის ინტერესებს მონყვლადი ჯგუფებთან მუშაობაც წარმოადგენს. მათ შორის არიან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები. როგორც თეა სტურუა აცხადებს, რამდენიმე კვირის წინ, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, 56 კერძო კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელთაგანაც მზაობა, - თავიანთ კომპანიებში დასაქმონ შპს პირები, ყველა მათგანმა გამოთქვა:

„თუმცა, მხოლოდ მათი მზაობა არ არის საკმარისი, რადგან იმისათვის, რომ შპს პირის გაძლიერება და დასაქმება მოხდეს, კომპანიებმა უნდა შეძლონ მათთვის ადაპტირებული გარემოს შეთავაზება. ეს პროცესი დაწყებულია და ჩვენ სექტემბრიდან დავიწყებთ ამ პილოტური, მხარდაჭერი მექანიზმების დამუშავებას. 56 კომპანიას დაემატა რამდენიმე ათეული კომპანია, რომლებიც მზად არიან, შპს პირები დასაქმონ რეგიონებშიც. ვიმედოვნებთ, რომ ამ მოდელის საშუალებით უკეთ მოვახდენთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა რესოციალიზაციას,“ - აღნიშნა თეა სტურუამ.

კრიტიკულად აფასებს შრომით კანონმდებლობასა და სახელმწიფო მიდგომებს შპს პირთა მიმართ

გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე, გოჩა ალექსანდრია:

„შრომის კოდექსში საერთოდ არაა ნახსენები შპს პირთა შრომითი უფლებები, ასე რომ, არა თუ საკმარისად არ არის, საერთოდ არ არის ასახული კანონმდებლობაში რაიმე განსაკუთრებული გარემოს შექმნის ვალდებულება დამსაქმებლისთვის, შესაბამისად, საერთოდ არ არის განსაზღვრული დასაქმების პირობები. კერძო სექტორისთვის არ არსებობს კვოტების დანესების სისტემა, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის შპს პირთა რეალიზაციისთვის. დღეს, კანონის მიხედვით, შპს პირები თანაბარ კატეგორიაში გადაიან, რაც არათანაბარ პირობებში აყენებთ მათ დასაქმებულთა წინაშე. ეს არ არის სამართლიანი და ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იმსჯელოს ამის შესახებ, რადგან სახელმწიფოს აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების მიმართ,“ - ამბობს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე.

გოჩა ალექსანდრიას შეფასებით, გარემო, რომელშიც დღეს შპს პირები იმყოფებიან, არასამართლიანი და უკანონოა:

სამართლიანი იქნება მათთვის საჭირო გარემოს შექმნა, რათა მოახერხონ საკუთარი შრომით საკუთარი თავის რჩენა და სახელმწიფომ ამის საშუალება ყველა მოქალაქეს უნდა შეუქმნას. შპს პირები წარმოადგენენ იმ ინტელექტუალურ პოტენციალს, რომლის გამოყენებაც აუცილებელია შრომით ბაზარზე, ამიტომ მათი ხელშეწყობა აუცილებელია. დღეს, საქართველოში შპს პირები შრომითი კუთხით სასარგებლო სამუშაო ძალად არ მიიჩნევიან და ამაზე პირველ რიგში, კანონი მეტყველებს. ასოციირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ვალდებულია, ჩვენს კანონმდებლობაში გადმოიტანოს იმ ევროდირექტივის შინაარსი, რომელიც არეგულირებს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობას, მათ შორის, შპს პირთა დასაქმებას. ამ დირექტივის თანახმად, დისკრიმინაცია უნდა იქნას აღმოფხვრილი, სამსახურში მიღებისას გარკვეული უპირატესობა პრივილეგია უნდა მიენიჭოს შპს პირებს, თუმცა, ამას დირექტივაშიც უფრო სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ვიდრე სავალდებულო. ასევე, საუბარია სამუშაო ადგილას კომფორტის შექმნაზე, რომ გარემო არ ქმნიდეს მათთვის სიძნელეებს. ერთის მხრივ, ეს არის კარგი ჩანაწერი ევროპელებისთვის, მათთვის, ვისთვისაც რეკომენდაცია საკმარისია განსახორციელებლად, ჩვენთვის კი, ვფიქრობ, ეს ყველაფერი სანამ არ მიიღებს სავალდებულო ხასიათს, მანამ ვერ მოვახერხებთ პრობლემის მოგვარებას,“ - აღნიშნავს გოჩა ალექსანდრია.

არსებული საკანონმდებლო სივრცე, მიუხედავად დეკლარირებული ნებისა, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება, ვერ აღწევს მიზანს, სათანადო სამართლებრივი გარანტიების, პრაქტიკული ხელშეწყობისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების არარსებობის გამო. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მდგომარეობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის მიუხედავად, ნათელია, რომ დასაქმებულთა მაჩვენებელი დაბალია და შეუძლებელია მისი შეცვლა იმ წინაპირობების დაკმაყოფილების გარეშე, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების, პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფას, გარემოს ადაპტირება-ხელშეწყობას, დამატებითი მექანიზმების დანერგვას, რაც როგორც საკანონმდებლო რეგულირებაში, ისე სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში უნდა აისახოს.

წერილი ჩელოქიას დისკრიმინაცია ანტიდისკრიმინაციის სახელით



ესმა გუმბერიძე

მაინც ჩამენერა, ესეც ჩემი გამოუცდლობისა და მწვანე სტუდენტობის ბრალია. რუსთავი 2-ის მესვეურთაგან ძალიან შორს ვარ ჯერ ჩემი უფლებების დაცვის მექანიზმების ფლობისა და საჯარო ყურადღების მიპყრობის უნარების კუთხით.

2015 წელს, 18 ნოემბერს, სახალხო დამცველის მიერ ჩემი საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა მოხდა..

მოპირისპირე მხარე, მოგებაზე ორიენტირებული სამენარმეო კომერციული იურიდიული პირი, დასაქმების სააგენტო „ეიჩარი“ 4 ადამიანით იყო წარმოდგენილი: 2 ადვოკატის სერტიფიკატის მქონე შემდგარი იურისტი, ბიზნესმენი, რომელთა ბიზნესიც უკვე 10 წელია ბაზარზე ოპერირებს და ერთი სტაბილურ სამსახურში დასაქმებული მათი კომპანიის თანამშრომელი. ჩემს პირდაპირ ისხდნენ ჩემზე უფროსი, წარმატებული და საზოგადოებაში უფრო მეტი წონის ხმის მქონე 3 მამაკაცი და სამსახურის მქონე გოგონა (ჩვენს ქვეყანაში ისიც ხომ დიდი საქმეა, მუდმივი სამსახური რომ გაქვს და ამიტომ აღვნიშნავ ამას). მე კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დაბადებიდან უსინათლო, უნივერსიტეტის მე-3 კურსელი გოგონა, მარტო ვიჯექი მათ პირისპირ და ვცდილობდი ჩემი უფლებების დისკრიმინაციისგან დაცვას. ძალიან ვნანობ, სხვათა შორის ახლა, რომ ჟურნალისტი არ მოვიძიე და ამ ზეპირ განხილვაზე არ ვთხოვე დასწრება, გაშუქება და გადაღება, ვნანობ თან არ მქონდა ჩემი ფოტოაპარატი, რაც საშუალებას მომცემდა სურათები გადამეღო, არ მქონდა დიქტოფონი, რომ სხდომა დიქტოფონზე

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის, ცნობილი EBRD-ს, განცხადება მოვიძიე 2015 წლის მაისში თბილისში ჩასატარებელი კონფერენციისთვის საჭირო დროებითი ვაკანსიების შესახებ და გავაგზავნე CV ისე, რომ არ მივუთითე ჩემი შეზღუდული შესაძლებლობის ფაქტი. დამირეკეს და მითხრეს, რომ წინასწარი შერჩევის ეტაპი ჩემმა CV გადალახა და ინგლისურის ტესტი უნდა დამენერა. მე მივწერე, ჩემი უსინათლობიდან გამომდინარე, ტესტის სხვა ფორმით ჩაბარების საჭიროების შესახებ. ამასთან აღვწერე, რომ ტესტის ჩაბარება შემეძლება ჩემივე კომპიუტერით და ამისთვის პოტენციურ დამსაქმებელს არავითარი დამატებითი ხარჯების განევა არ მოუწევდა. პასუხად მომწერეს, რომ მოგვიანებით დამიკავშირდებოდნენ, რის შემდეგაც განწყვიტეს ჩემთან ყოველგვარი კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთხელ შევახსენე ჩემი არსებობა და სამუშაოთი დაინტერესება.

ეს შემთხვევა წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას დასაქმების წინა ურთიერთობაში შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა და აღნიშნა, რომ ეს მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას იმ ნიშნების მიხედვითაც, რომლებიც ამ მუხლში პირდაპირ

ჩამოთვლილი არ არის (ასეთია, მაგ. შეზღუდული შესაძლებლობა); გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის რატიფიკაციაც საქართველომ 2014 წელს მოახდინა, საქართველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილია და მისი შესრულება სავალდებულოა; საქართველოს შრომის კოდექსი, რომლის მე-2 მუხლში პირდაპირა არის ნათქვამი, რომ დასაქმებასა და შრომასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ურთიერთობაში აკრძალულია დასაქმებულის/დასასაქმებელი პირის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის გამო და ბოლოს, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი.

როცა ამ ფაქტზე სახალხო დამცველთან შევიტანე საჩივარი, „ეიჩარმა“ განმარტა, რომ ენათა ბიუროს ასისტენტის პოზიცია, რომელზეც მე შევავსე განაცხადი, ითვალისწინებდა არა მხოლოდ თარგმნაში დახმარებას, არამედ— სხვა ისეთ მოვალეობებსაც, (მაგ. ერთი შენობიდან მეორეში გადაადგილებასა და სხვადასხვა ნივთების გადატანას, კონფერენციის მონაწილეთა შესასვლელთან დახვედრასა და მიმართულების ჩვენებას და მისთ), რასაც მათი აზრით, უსინათლო ვერ შეასრულებდა. მთელი ოთხშაბათის სხდომა სწორედ ის დამსაქმებელი მიმტკიცებდა ამას, რომელსაც უსინათლოსთან შეხება არასდროს ჰქონია. არადა არსებობენ უსინათლოები, რომლებიც ნიუ-იორკის მეტროთი სარგებლობენ დამოუკიდებლად, დამოუკიდებლად ცხოვრობენ უზარმაზარი უნივერსიტეტების საერთო საცხოვრებლებში და, შესაბამისად, პოტენციური დამსაქმებლის, შურლიას, ეს მტკიცებაც თეორიულად მცდარია.

თუმცა ჩემი ყველაზე მთავარი არგუმენტი იყო საერთაშორისო დოქტრინასა და პრაქტიკაში (მაგ. აშშ-ში სწორედ ამგვარი მიდგომაა დამკვიდრებული) შუამდობით დასაქმების სფეროში დისკრიმინაციისგან დასაცავად გაბატონებული სამუშაო პოზიციის ძირითადი მოვალეობების, გონივრული მისადაგებისა და მოვალეობათა გონივრული და პროპორციული გადანაწილების კონცეფციები/პრინციპები. ეს ნიშნავს, რომ თუ შუამდობით პირს შეუძლია თავისი სამუშაოს ძირითადი მოვალეობების შესრულება, დამატებითი მოვალეობები, რომელთა შესრულებაც მას არ შეუძლია, შეიძლება, გადანაწილდეს სხვებზე, სამაგიეროდ შუამდობით პირი უფრო მეტად დაიტვირთოს იმ მიმართულებით, რისი კეთებაც მას შეუძლია. ჩემს შემთხვევაში განვმარტე, რომ რადგან ენათა სერვისების ბიუროში რამდენიმე პირი იყო დასაქმებული, შესაძლებელი იყო ჩვენი მოვალეობების ისე გადანაწილება, რომ მე მხოლოდ ზეპირ და წერილობით თარგმანს ვუზრუნველყოფდი, ასევე მაგ. ვუპასუხებდი სატელეფონო ზარებსა და

ვანარმოებდი ელექტრონული ფოსტით მიმონერას, სხვა თანამშრომლები კი დაიტვირთებოდნენ სხვადასხვა შენობებში სიარულითა და კონფერენციის მონაწილეთა გაცილებით ისე, რომ ჩემს მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და დატვირთულობა არ შემცირდებოდა, უბრალოდ, დაკონკრეტდებოდა მოვალეობები.

ასევე განვმარტე, რომ მე შეგნებულად შევიტანე განაცხადი ისეთ პოზიციაზე, რომლის მოვალეობათა შესრულებაც შემეძლო, კერძოდ, კი ენათა ბიუროზე მიმაგრებული ზოგადი ასისტენტის პოზიციაზე, სადაც, სააგენტო „ეიჩარის“ მიერ გავრცელებული ინსტრუქციიდან გამომდინარე, არ მომიწევდა იმგვარი სამუშაოს შესრულება, რაც განსაკუთრებით მრავალ ადგილზე გადაადგილებასა და მხედველობას მოითხოვდა, ასევე ავხსენი, რომ თსუ-ის მე-2 კორპუსის შიგნით სრულიად დამოუკიდებლად გადავაადგილდები, შესაბამისად, გარკვეული შენობის ფარგლებში დასაქმების შემთხვევაშიც შევძლებდი დამოუკიდებლად გადაადგილებას ხანმოკლე ექსკურსიის შემდეგ, რომლის ჩატარებაც სამსახურის წინ გასამართი ტრენინგის ფარგლებში შეიძლებოდა. „ეიჩარის“ წარმომადგენლების მტკიცებით, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ დეპარტამენტს/განყოფილებას მიემარტებოდა ზოგადი ასისტენტი, მას მაინც მოუწევდა ყველაფრის კეთება და მათ შორის ისეთი მოვალეობების შესრულებაც, რომლებიც, „ეიჩარის“ წარმომადგენელთა აზრით, უთუოდ საჭიროებდა მხედველობას. მათი მტკიცებით, დეპარტამენტებად დაყოფა ფორმალური იყო, რაზეც მე მივუგე, რომ არალოგიკურია საინფორმაციო ბროშურაში იმ განყოფილებების ჩამოთვლა, სადაც ზოგადი ასისტენტები გადანაწილდებიან, თუ ამ დაყოფას მაინც აზრი არ აქვს და მათს მოვალეობებში არავითარი სხვაობა არ იქნებოდა, საინფორმაციო ბროშურაში პირდაპირ განერილი იყო სხვადასხვა დეპარტამენტში გადანაწილებულ პირთა მოვალეობები, თანაც დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელი იყო გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე დეპარტამენტში დასაქმებულთა შორის მოვალეობათა იმგვარი დისტრიბუცია, რომლის შედეგადაც მე ჯეროვნად შევძლებდი ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას და დამეკისრებოდა ის მოვალეობები, რომელთა შესრულებაც კონკურენტულად შემიძლია.

ჩემმა მოპირისპირე მამაკაცებმა გამოიყენეს მრავალი დემაგოგიური ხერხი. მათ განაცხადეს, რომ „ეიჩარი“ ყველაფერს აკეთებს დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და იმ დროსაც აკეთებდა, როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი არ იყო მიღებული, რომ ისინი არ

თანამშრომლობენ ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც დასასაქმებელ პირთა შესარჩევად დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს ასახელებენ. ამასთან დაკავშირებით მივუთითებ, რომ ვინაიდან ისინი ამ მოსმენაზე მოვიდნენ იმის მტკიცებით, რომ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს აკეთებენ, მათ მიერ თავიანთ ან სხვა ორგანიზაციებში (მათ კლიენტ ორგანიზაციებში) დასაქმებულ შუამ პირთა რაოდენობის შესახებაც ექნებოდათ ზუსტი/სტატისტიკური მონაცემები და მოსმენის განმავლობაში რამდენჯერმე ვთხოვე მათ მიერ დასაქმებულ შუამ პირთა რიცხვის დასახელება, რაც მათ ვერ შეძლეს. დასაქმების სააგენტოს დირექტორმა შურლაიამ მხოლოდ განმარტა, რომ მათ მიერ დასაქმებულ შუამ პირთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია, რადგან მათი სააგენტო არ სპეციალიზდება შუამ პირთა დასაქმების საკითხებზე. ბევრი ისაუბრეს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ნდობით სარგებლობს მათი დასაქმების სააგენტო და როგორი მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდათ EBRD-თან, რასთან დაკავშირებითაც მე ვკითხე, მიანოდეს თუ არა EBRD-ს ინფორმაცია იმგვარი ეგზოტიკური შემთხვევის შესახებ, როგორცაა შუამ პირის მიერ საქართველოში EBRD-ს კონფერენციაზე დასაქმების მიზნით გაცხადების შეტანა და ამ დასაქმებაზე მათ მიერ ნათქვამი უარი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რაზეც მითხრეს, რომ ეს ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

ისინი ხაზს უსვამდნენ EBRD-ის 2015 წლის 13–15 მაისს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის საერთო ეროვნულ და გლობალურ მნიშვნელობას, რაოდენ დადებითი და ქვეყნის მხსნელი მოვლენა იყო ის საქართველოსთვის, რამდენად რთული და დატვირთული იყო იქ მუშაობა (რომ ბავშვის მოსაველეად 2 საათიც რომ სჭირდებოდა დასაქმებულს, იქაურობას მაინც ვერ დატოვებდა), შესაბამისად, ჩემი ადგილი იქ არ იყო. რა შუაში იყო სამუშაოს დატვირთულობა ჩემს შეზღუდულ შესაძლებლობასთან?– მე კონკრეტული ფუნქცია მაქვს დარღვეული, ძალა და ენერჯია კი არ მაქვს გამოლეული.

ასევე ბევრჯერ იმეორებდნენ, მხოლოდ თარჯიმნის ვაკანსიაზე რომ ყოფილიყო საუბარი, მაშინ უეჭველად ამიყვანდნენ, რადგან უსინათლოობა თარგმნაში ხელს არ შემიძლიდა, რადგან მე ინგლისური ენა ძალიან კარგად ვიცი და როგორც აღნიშნეს, მეტყობა. ნეტავ საიდან შემატყვევს, ინგლისურად ორიოდ სიტყვა წამომცდა მხოლოდ. ჩემი გულის გასახარად კომპლიმენტიც მესროლეს იმის თაობაზე, რომ ასეთი ჭკვიანი ვარ და პერსპექტივის მომცემ უნივერსიტეტში ვსწავლობ. დირექტორმა შურლაიამ ისიც კი განაცხადა, რომ, პირიქით, მოხარულია, რომ ასეთი აქტიური ადამიანი ვარ და რომ მას ამ შეხვედრაზე რაღაცის

სწავლის შესაძლებლობა მიეცა. ბოლოს ისიც დააყოლა, რომ თვითონაც ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი. არ ვიცი, ეს რაღა შუაში იყო. ალბათ, სახალხო დამცველის წარმომადგენელთათვის უნდოდა იმის ჩვენება, რომ პრობლემა კარგად ესმის და არც უგულოა, მაგრამ მართლა ვერაფერს იღონებდა. თან სულ შემდეგს იმეორებდა: "ხომ გესმით, ისეთი რთული, მძიმე და დატვირთული გრაფიკი ჰქონდათ, იმდენი საქმის კეთება უნევდათ ერთდროულად, ხომ ხვდებით, რომ ეს ამის გამკეთებელი მაინც არაა". ანუ სახალხო დამცველის წარმომადგენელთა გონიერებას ლაღადებდა, მე ხომ მაინც ვერაფერს გავიგებდი, იმათ მაინც, ჭკუათმყოფელმა ადამიანებმა, უნდა შეიგნონ.

იმათ ასევე განმარტეს, რომ ყოველთვის ტელეფონით აცნობენ ხოლმე ვაკანსიების არ შერჩეულ კანდიდატებს იმ სამსახარო ამბავს, რომ ისინი სამსახურში არ არიან აყვანილნი, მიუხედავად იმისა, რომ ეს დასაქმების სააგენტოს თანამშრომლებისთვის საკმაოდ მძიმეა, რადგან ხშირად ხდებიან ხოლმე არ შერჩეული კანდიდატების მხრიდან ლანძღვის მსხვერპლნი და ბოდიში მომიხადეს იმის გამო, რომ მაინც და მაინც მე არ შემატყობინეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო ჩემი კანდიდატურა მათთვის საინტერესო აღარ იყო. ამაზე მე გაკვირვება გამოვთქვი და შევახსენე, რომ მათ თანამშრომელს, მარიამ კვიციანს, ორჯერ მივწერე და შევახსენე ჩემი კვლავინდებური დაინტერესება ვაკანსიით და შესაბამისად მათი არშერჩეულ კანდიდატთა მიმართ იმგვარი ყურადღებანიობის გათვალისწინებით, ჩემი ორი ელ–წერილის მიმართ ამგვარი უყურადღებობა გამორიცხავს მარიამ კვიციანის გაუფრთხილებლობას და უფრო მიუთითებს განზრახვაზე, არ დაეფიქსირებინა წერილობითი ან თუნდაც ზეპირი ფორმით ჩემთვის დასაქმებაზე უარის თქმის საფუძველი: შეზღუდული შესაძლებლობა. სხვათა შორის, კარგი იქნებოდა, მარიამ კვიციანი, დასაქმების სააგენტო „ეიჩარის“ თანამშრომელიც მოსულიყო სხდომაზე, რომელსაც ჩემთან დასასაქმებელი კონკურსის ფარგლებში ჰქონდა ურთიერთობა. საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი ახსნა–განმარტებებიც ამ საქმესთან დაკავშირებით. როგორ არ მომაფიქრდა. ისე კარგი იქნებოდა, ის პირებიც ყოფილიყვნენ მოწვეულნი სხდომაზე, ვისაც ჩემზე მეტად გაუმართლათ და ენათა ბიუროში დასაქმდნენ EBRD-ის კონფერენციის პერიოდში, რათა მათ განემარტათ, თუ რა მოვალეობებს ასრულებდნენ.

ბოლოს, სახალხო დამცველის სხდომის წარმმართველმა წარმომადგენლებმა განგვიმარ-

ტეს, რომ გადანყვეტილებას დაახლოებით ორიოდე თვეში მიიღებდნენ. მათ ასევე შემოგვთავაზეს საქმის მორიგებით დასრულება, თუმცა, ორივე მხარე ჩვენს პოზიციაზე დავრჩით, ურთიერთობა, რასთან დაკავშირებითაც საქმე წამოვიწყე დამთავრებულია, იმ კონკრეტულ სამუშაოზე ისინი ველარ დამასაქმებენ, შესაბამისად, მორიგებით საქმე ვერ დასრულდება, რაც განვაცხადე კიდევ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ასევე განვიმარტეს, რომ სახალხო დამცველი თავისი გადანყვეტილებით ან დაადგენს დისკრიმინაციის ფაქტს და გასცემს რეკომენდაციებს ან ამგვარ ფაქტს არ დაადგენს. ამაზე "ეიჩარის" ადვოკატმა იკითხა: "და რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა აქვს?"- მე ეს კითხვა ცინიზმად ჩავთვალე, რადგან დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახალხო დამცველის მიერ კერძო სამართლებრივი იურიდიული პირისთვის განეულ რეკომენდაციას სავალდებულო ძალა არ აქვს. შესაძლებელია, ორი ადვოკატი მიდიოდეს საქმის განხილვაზე და საქმის ირგვლივ სახალხო დამცველის უფლებამოსილება წინასწარ არ ჰქონდეთ გამოკვლეული?

ეპილეუსია და სიმპტომები

ნათია გაბედავა; მარიამ ყვავაძე.



რა არის ეპილეუსია?

ეპილეუსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით და მიმდინარეობს სხვადასხვა კლინიკური და პარაკლინიკური სიმპტომებით. აქვე, კიდევ ერთხელ, საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპილეუსია არის დაავადება და არა – ფსიქიკური აშლილობა. ასეთი საზგასმა საჭიროა იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, დღესდღეობითაც კი, საზოგადოებაში არსებობს მცდარი შეხედულება ეპილეუსიის რაობასთან დაკავშირებით.

ეტიოლოგია, პათოგენეზი

ეპილეუსიის განვითარებაში გარკვეულ როლს ასულებს წინასწარგანწყობა და ტვინის ორგანული დაზიანება (ნაყოფის მუცელშიგა განვითარების დარღვევა, სამშობიარო ასფიქსია, მექანიკური დაზიანებები მშობიარობის დროს, ინფექციები,

ქალა-ტვინის ტრავმა და სხვ.). ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია ეპილეუსიის დაყოფა – „გენუინურ“ (მემკვიდრეობით განპირობებულ) და „სიმპტომურ“ (ტვინის ორგანული დაზიანების შედეგი) ეპილეუსიებად. ეპილეუსიური გულყრა განპირობებულია ნეირონული განმუხტვების გავრცელებით ეპილეუსიური აქტიურობის კერძოდან მთლიანად ტვინზე (გენერალიზებული გულყრა) ან მის ნაწილზე (პარციალური გულყრა).

სიმპტომები, მიმდინარეობა

გენერალიზებული გულყრები მიმდინარეობენ გონების დაკარგვით, ვეგეტატიური სიმპტომებით (მიდრიაზი, სახის განითლება ან გაფერმკრთალება, ტაქიკარდია და სხვ.), რიგ შემთხვევებში კი კრუნჩხვებით. გულყრის პერიოდში ავადმყოფი ეცემა და ზოგჯერ ღებულობს მნიშვნელოვან დაზიანებებს, ხშირად აღენიშნება ენის მოკვნიტა, უნებლიე მოშარდვა. გულყრა მთავრდება ე. წ. ეპილეუსიური კომით, მაგრამ შესაძლებელია აღინიშნებოდეს ასევე ეპილეუსიური აგზნება გონების დაბინდვით. კრუნჩხვის გარეშე მიმდინარე გენერალიზებული გულყრა ხასიათდება გონების დაკარგვით და ვეგეტატიური დარღვევებით (მარტივი აბსანსი) ან ამ სიმპტომების შერწყმით მსუბუქ, უნებლიე მოძრაობებთან (რთული აბსანსი). ავადმყოფები ხანმოკლე პერიოდში წყვეტენ სამუშაოებს, ხოლო შეტევის შემდეგ განაგრძობენ მათ, ამასთან გულყრა აღარ ახსოვთ. იშვიათად გულყრის პერიოდში ხდება პოსტურალური ტონუსის დაკარგვა და ავადმყოფი ეცემა (ატონიური აბსანსი).

ეპილეუსიის მიმდინარეობა მნიშვნელოვანი ხარისხით დამოკიდებულია მის ფორმაზე. მონრდილებში ეპილეუსიის მიმდინარეობა მკურნალობის გარეშე უმრავლეს შემთხვევაში პროგრედიენტულია, რაც ვლინდება გულყრების

თანდათანობითი გახშირებით, სხვა ტიპის პაროქსიზმების წარმოქმნით, ღამის გულყრებთან დღის გულყრების თანდართვით, გულყრების სერიების ან ეპილეფსიური სტატუსის განვითარებისადმი მიდრეკილებით, პიროვნების დამახასიათებელი ცვლილებებით-სტერეოტიპულობისა და პათოლოგიური აზროვნების სახით, აფექტურობის შერწყმით ექსპლოზიურობასთან, ეგოცენტრიზმთან, იმ საბოლოო მდგომარეობის განვითარებად, რომელიც განისაზღვრება როგორც ეპილეფსიური ჭკუასუსტობა.

მკურნალობა

მკურნალობა ხანგრძლივი და უწყვეტია. მედიკამენტების შერჩევა და მათი დოზირება ინდივიდუალურია. ეპილეფსიის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ეპილეფსიური სტატუსი (გულყრების სერია, ხშირად დიდი კრუნჩხვითი) და მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა. ეპილეფსიური სტატუსის დროს აუცილებელია პირის ღრუდან უცხო სხეულების გამოღება, ავადმყოფი გადაჰყავთ რენანიმაციულ განყოფილებაში; აუცილებელია მეტაბოლური დარღვევების კორექცია.

ეპილეფსიის მქონე ადამიანები მთელს მსოფლიოში აწყდებიან სხვადასხვა სიძლიერისა და სახის სტიგმატიზაციას, რომლებიც განსხვავდება რეგიონებისა და კულტურის მიხედვით.

რა არის სტიგმა?

სტიგმა განმარტებულია როგორც დამლა, სირცხვილის ნიშანი. სტიგმა სტატუსისა და ძალაუფლების დაკარგვაა, რაც გამოიხატება საზოგადოებიდან გარიყვის სახით და რისი საფუძველიც არის ესა თუ ის მახასიათებელი, რომელიც კონკრეტულ კულტურაში მიჩნეულია განმასხვავებელ და არასასურველ ნიშნად. სტიგმატიზაცია მხოლოდ დისკრიმინაციას კი არ მოიცავს, არამედ უარყოფასაც სხვების მიერ. ასევე, სამწუხაროდ, ადამიანებს, რომლებიც სტიგმატიზირებულები არიან, გარკვეული მოლოდინები აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ სხვები მათ „განმასხვავებელ ნიშანს“. ეს არის თვით-სტიგმატიზაციის შინაგანი პროცესი, რომელიც ასევე წარმოადგენს სტიგმატიზაციის შემადგენელ ნაწილს. ანუ, ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომელიც სტიგმატიზირებულია სხვების მიერ, ხშირ შემთხვევაში ახდენს საკუთარი თავის სტიგმატიზირებასაც.

ამხსნელი თეორიები და გამომწვევი მიზეზები

დღესდღეობით, არ არსებობს სტიგმის ამხსნელი, საყოველთაოდ აღიარებული, ერთიანი თეორია. თუმცა, ცნობილია სტიგმატიზაციის გამომწვევი რამდენიმე სოციალური წყარო და ის ფაქტორებიც, რომლებიც აძლიერებს ამ პროცესს.

ცრურწმენები, რომლებიც ხალხში არსებობს ეპილეფსიის შესახებ, სტიგმის ჩამოყალიბების წყაროა. დიდი გავლენა აქვს იმასაც, თუ როგორაა

ეპილეფსია განხილული მედიაში. კრაუსმა (Krauss GL, Gondek S, Krumholz A, Paul S, Shen F. "The scarlet E": the presentation of epilepsy in the English-language print media. *Neurology* 2000;54:1894-8.)

შეისწავლა ინგლისურენოვანი ბეჭდვითი მედიის სტატიები, რომელშიც ეპილეფსია იყო ნახსენები. შედეგმა აჩვენა, რომ 31% სტატიებისა, შეიცავდა არასწორ ინფორმაციას, აქედან მეცნიერული შეცდომა იყო 14%, გადამეტებულად წარმოდგენილი მკურნალობის ხერხები 9% და გადამეტებულად წარმოდგენილი შეტევების რისკი 5%.

ხშირად, შეცდომითი ინფორმაციის გავრცელების წყარო თვითონ პაციენტები არიან. ლონგის (Long L, Reeves AL, Moore JL, Roach J, Pickering CT. An assessment of epilepsy patients knowledge of their disorder. *Epilepsia* 2000; 41:727-31.) მიერ ჩატარებულ კვლევაში, ეპილეფსიის ცოდნის შესამოწმებლად, აღმოჩნდა, რომ 30%-ს სჯეროდა, რომ ეპილეფსია მენტალური აშლილობაა და გადამდებია. 41% თვლიდა, რომ ნორმალურია შეტევის დროს პაციენტის პირში თავის ჩასმა, რომ შეტევა შეუწყდეს. ქალების 25%-ს აზრით, აუცილებელი იყო ეპილეფსიის სამკურნალო ნამლების მიღების შეწყვეტა ორსულობისას.

ასევე, სტიგმის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ადამიანის მიერ განსხვავებების აღქმის უნარია. ეს უნარი თანდაყოლილია როგორც ადამიანებში, ასევე ბევრ ცხოველშიც და ეხმარება მათ ეფექტურ ფუნქციონირებასა და გადარჩენაში. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფები ამჩნევენ და მკაფიოდ რეაგირებენ სხვადასხვა ტიპის განსხვავებებზე. თუმცა, არსებობს ისეთი განსხვავებები, რომლებიც ადამიანების მიერ იგნორირებულია, რადგან მათ უმნიშვნელოდ მიიჩნევენ და არსებობს ისეთი მახასიათებლებიც – მაგალითად, კანის ფერი, ასაკი, სქესი... – რომლებიც აღიქმება, როგორც „ბუნებრივი“, რეალური და როგორც, მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები.

იმისათვის, რომ სტიგმატიზაცია განხორციელდეს, საჭიროა, რომ ასეთი განმასხვავებელი ნიშნები დაკავშირებული იყოს არასასურველ თვისებებთან. მაგალითად, ეპილეფსია ასოციაციურად დაკავშირებულია ისეთ სტერეოტიპებთან, როგორებიცაა, მაგალითად: „ გონებრივად ჩამორჩენილი“, „კრიმინალისკენ მიდრეკილი“, და ა. შ. ასეთი ადამიანები განიხილებიან, როგორც „ისინი“, რომლებიც განსხვავდებიან „ჩვენგან“. ასეთი მდგომარეობა, ანუ საზოგადოებიდან გარიყვა ასუსტებს სტიგმატიზებული ადამიანების ძალასა და სტატუსს, ახდენს მათ გარდაქმნას არასასურველ ინდივიდად. ასეთი იზოლაცია კი, თავის მხრივ, ინვესს ამ ადამიანების თვითშეფასების ნგრევასა

და უუნარობას, რადგან მათ არ აქვთ სრული ხელმისაწვდომობა სოციალურ და ფინანსურ რესურსებთან. დაბალი თვითშეფასება და უნარები სტიგმისთვის სუსტი წინააღმდეგობის განვითარების მიზეზი ხდება, რაც თავის მხრივ, სტიგმატიზაციის ახალი პროცესის წარმომშობი მიზეზია. ამგვარად, იკვრება წრე, რომელიც მეორდება და ყოველ ჯერზე აძლიერებს ამ ადამიანების წინააღმდეგ არსებულ სტიგმას (Michael Smith, *Advances in Psychiatric Treatment* (2002), vol. 8, pp. 317–325.).

სამი გზა სტიგმის აღმოსაფხვრელად:

კანონზე დაფუძნებული პროტესტი – ღია საუბარი დისკრიმინაციაზე (**Rights-based protest: tackling discrimination**). – კანონზე დაფუძნებული მიდგომა მიზნად ისახავს, მაქსიმალურად ზუსტად ასახოს ამგვარი დისკრიმინაციის შემთხვევები მონიტორინგის საშუალებით და ძალის გამოყენებით დაამყაროს თანასწორუფლებიანობა ჯანდაცვის, სამართლისა და სამუშაო სფეროებში.

ნორმალიზაცია (**Normalisation**) – ამ მიდგომის მიზანია, პერიოდულად ჩაატაროს ანტი-სტიგმა კამპანიები, რომლის დევიზიცაა, მაგალითად, შემდეგი: „ეპილეფსიის მქონე ადამიანები არაფრით განსხვავდებიან ჩვენგან!“. ნორმალიზაცია მიზნად ისახავს, საზოგადოებაში განამტკიცოს ის აზრი, რომ მასტიგმატიზირებული ნიშნები ფართოდ გავრცელებული მოვლენაა მთელს მსოფლიოში და რომ, ასეთი მახასიათებლები ყოველ მეოთხე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის თითოეული ჩვენთაგანის ახლობელსაც. ნორმალიზაციის მიდგომის ერთ-ერთი მეთოდია მკურნალობა და მისი ეფექტების გაუმჯობესება. მაგალითად, დროთა განმავლობაში დაიხვეწა ტუბერკულოზისა და სიმსივნის მკურნალობის მეთოდები, რამაც საგრძნობლად შეამცირა ამ დაავადების მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმა.

ინფორმაცია, მედია და სოციალური ატიტუდები (**Information, media and social Attitudes**) – მედიას ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია იმ ატიტუდებზე, რომლებიც გააჩნია საზოგადოებას. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ანტი-სტიგმა კამპანიებში მისი ჩართულობის წილი ძალიან დიდია. ენა, რომელიც გამოიყენება მედიასა და ყოველდღიურ მეტყველებაში, გვანვდის ინფორმაციას იმ ადამიანის ატიტუდებისა და რწმენების შესახებ, რომელიც ახდენს სხვის სტიგმატიზაციას. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ კონკრეტულ სიტყვას შევუნარჩუნოთ სანყისი, „არადაბინძურებული“, მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ეხება კლინიკურ ტერმინებს (Michael Smith, *Advances in Psychiatric Treatment* (2002), vol. 8, pp. 317–325.).

სტიგმა ეპილეფსიის მქონე ახალგაზრდების ცხოვრებაში

უძველესი დროიდან დღემდე ეპილეფსიის დიაგნოზთან ასოციაციურად დაკავშირებულია სტიგმა, რომელთან გამკლავებაც უხდება ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ეს ნევროლოგიური პრობლემა აქვს. ადრე, მაგალითად, შუა საუკუნეებში, მიიჩნეოდა, რომ ეპილეფსიის მქონე ადამიანი დემონებით იყო შეპყრობილი. დღესდღეობით, საბედნიეროდ, სტიგმის ამგვარი შინაარსი შეცვლილია, თუმცა იგი მაინც არსებობს, რისი გამოხატულებაც არის ის, რომ მაგალითად, ეპილეფსიის მქონე ადამიანებს უჭირთ სამუშაოს შოვნა, ან მისი შენარჩუნება.

დისკრიმინაცია და ცრურწმენები იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც აქვთ ეპილეფსია არის არასწორი, ზიანის მომტანი და სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებულიც. ასეთი სტიგმის წინააღმდეგ სხვადასხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ მრავალი სამუშაო ჩაატარა. ეპილეფსიის სტიგმატიზაციასთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა ის, რაც ისედაც ცნობილი იყო კლინიკური თუ პირადი გამოცდილებიდან. მაგალითად, დადასტურდა, რომ ეპილეფსიის მქონე ადამიანების შესახებ არსებული ცრურწმენები, ზრდის მათ სოციალურ იზოლაციას და ხდება მათი დისკრიმინაციისა და დაჩაგვრის საფუძველი: ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს პრობლემები ექმნებათ სამუშაოს მოძებნისას, ოჯახში, სხვებთან ურთიერთობისას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ეს დისკრიმინაცია პირდაპირ გავლენას ახდენს სტიგმატიზირებული ადამიანების სოციალურ ქცევაზე და ანადგურებს მათ თვითშეფასებას.

თუმცა, ეპილეფსიის მქონე ადამიანების სტიგმატიზაცია ყოველთვის ამ ფორმით არ ვლინდება. იგი შეიძლება იყოს ფარულიც. ეპილეფსიის მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმის უარყოფითი შედეგებია: შფოთვა, დაბალი თვითშეფასება, დეპრესია, ნეგატიური დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ და ა.შ. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა და გაგება, თუ როგორ განიცდიან ეპილეფსიის მქონე ადამიანები ამ პროცესს.

იმისათვის, რომ სტიგმის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად განვაფიქროთ როგორც ინდივიდუალური, ასევე ფართო სოციალური ინტერვენტივის გზები, აუცილებელია გვესმოდეს, თუ როგორ უმკლავდებიან და როგორ განიცდიან სტიგმას ნებისმიერი ასაკის ეპილეფსიის მქონე ადამიანები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდობის ასაკი, რადგან: 1) ჯერ ერთი, მხოლოდ ა.შ.შ.-ში ყოველწლიურად 30 000 ბავშვსა და მოზარდს უსვამენ ამ დიაგნოზს (Hauser WA. *The prevalence and incidence of convulsive disorders in children. Epilepsia* 1994; 35(Suppl. 2) :S1–6.) და 2)

მეორეც, მოზარდობის ხანა თვითშეფასების, სელფ-ხატისა და იდენტობის ფორმირების პერიოდია (Abraham A, Silber TJ, Lyon M. Psychosocial aspects of chronic illness in adolescence. *Indian J Pediatr* 1999;66:447–53.) .

ეპილეფსია – მასტიგმატიზირებელი მდგომარეობა

ეპილეფსია მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მეტად სტიგმატიზირებულ სამედიცინო მდგომარეობას. ეპილეფსიასთან დაკავშირებით არსებობს ისეთი მცდარი შეხედულებები, როგორებიცაა: კრიმინალური ტენდენციები, გონებრივი შეზღუდულობა, სექსუალური დევიაციები და ამორალურობა. ასეთი დისკრიმინაციის შედეგები უარყოფითად აისახება ამ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ხშირია მათი სკოლიდან ან სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან გარიცხვა, ასევე, უარს ეუბნებიან ხოლმე ჯანმრთელობის დაზღვევაზე ან მართვის მოწმობის გაცემაზე, მათ უზღუდავენ დამოუკიდებლობას, მაგალითად, მათთვის გართულებულია სამსახურის შოვნა და ა.შ. ყოველივე ეს იწვევს ეპილეფსიის მქონე ადამიანების სოციალურ იზოლაციასა და გარიყვას, რაც ამ ადამიანებში იწვევს დეპრესიას, ფრუსტრაციას, სირცხვილისა და დანაშაულის განცდას. ჰერმანმა და ვიტმანმა (Hermann BP, Whitman S. Psychosocial predictors of interictal depression. *J Epilepsy* 1989;2:231–7.) თავიანთ კვლევაში, რომელშიც 102 ეპილეფსიის მქონე მოზარდი შეისწავლეს, აღმოაჩინეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია დეპრესიასა და აღქმულ სტიგმას შორის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ კლინიკებმა, სადაც ეპილეფსიის მქონე პაციენტები მკურნალობენ, ჩაატარონ სპეციალური საგანმანათლებლო კურსები და დაეხმარონ ამ ადამიანებს ადაპტაციური კოპინგის, ანუ სტიგმასთან გამკლავების სტრატეგიების ათვისებაში.

როგორ აღიქმება სტიგმა?

ეპილეფსიის დიაგნოზი პაციენტში იწვევს შფოთვის გაძლიერებას წამლების მიღებისა და სხვების რეაქციებთან დაკავშირებით. დამატებით, ახლად დიაგნოსტირებულმა ადამიანმა შეიძლება საკუთარი ცრურწმენებით აღიქვას ეპილეფსია, რაც უფრო გაართულებს საქმეს. ფიშერის (Fisher RS, Vickrey BG, Gibson P, et al. The impact of epilepsy from the patients perspective. II. Views about therapy and health care. *Epilepsy Res* 2000;41:53–61.) მიერ ცოტა ხნის წინ ჩატარებულ კვლევაში გამოჩნდა, რომ დიაგნოზირებულმა ინდივიდებმა შიში, დეპრესია და სიბრაზე იგრძნეს როდესაც დიაგნოზის შესახებ შეიტყვეს. 24% პაციენტებისა აღიარებდა, რომ ისინი სოციალური გარემოს რეაქციით იყვნენ შეწუხებულნი. სირცხვილის გრძნობა ხშირი იყო მოზარდ და ბავშვ

პაციენტებში. როდესაც მკვლევარებმა ხალხს სთხოვეს დაესახელებინათ ყველაზე ცუდი ასპექტები დაავადებისა, სტიგმა მეორე ადგილზე გავიდა, 23,8%-ით, პირველ ადგილზე კი შეტევების არაპროგნოზირებადობა იყო.

სტიგმის პრობლემა მხოლოდ აშშ-ში არ დგას. ბაკმა (Buck D, Jacoby A, Baker GA, Lye H, Steen N. Cross-cultural differences in health-related quality of life of people with epilepsy: findings from a European study. *Qual Life Res* 1999;8:675–85.) აღწერა ეპილეფსიასთან ასოცირებული სტიგმა ევროპაში. კითხვარი შეავსო დაახლოებით 5000-მა პაციენტმა ევროპის 15 ქვეყანაში. 51% ამ პაციენტებისა თავს სტიგმატიზირებულად თვლიდა. 18% ძალიან სტიგმატიზირებულად ასახელებდა თავს. სტიგმატიზირებულობის აღქმა კორელაციაში იყო შიშთან, ნუხილთან, ცხოვრების უარყოფით კონტექსტში აღქმასთან და ჯანმრთელობის სხვა სახის პრობლემებთან.

ეპილეფსიის ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ ჩატარებულ სხვა კვლევაში ჩაპლინმა (Chaplin JE, Yepez Lasso R, Shorvon SD, Floyd M. National general practice study of epilepsy: the social and psychological effects of a recent diagnosis of epilepsy. *Br Med J* 1992;304:1416–8.) გაუზავნა კითხვარები ინგლისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებს. კითხვარი შედგებოდა ფსიქოსოციალური შედეგების 14 სხვადასხვა სფეროს შესაფასებელი დებულებებისგან. 192 ცდისპირისგან 175 (91%) ამბობდა, რომ პრობლემები მათგან ერთ სფეროში მაინც ჰქონდათ. ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემური ასპექტები იყო შეტევების შიში და დასაქმებისას სტიგმატიზირების შიში.

სტიგმა პაციენტზე მრავალი მხრით ახდენს გავლენას. ის, რომ ეპილეფსიით დაავადებული ადამიანები ნაკლებად ქორწინდებიან, სტიგმითაა ნაწილობრივ განპირობებული. ფიშერმა (Fisher RS, Vickrey BG, Gibson P, et al. The impact of epilepsy from the patient s perspective. II. Views about therapy and health care. *Epilepsy Res* 2000;41:53–61.) დაადგინა რომ ეპილეფსიის მქონე პაციენტების მხოლოდ 51% კაცების და 48% ქალების იყო დაქორწინებული. ზოგადი მაჩვენებელი კაცებისთვის 63%, ხოლო ქალებისთვის 59%-ია.

სტიგმამ შეიძლება პაციენტების ზოგად ჯანმრთელობაზეც მოახდინოს გავლენა. უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეპილეფსიის მქონე ინდივიდებს უფრო ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე სხვებს. მათ უფრო მეტი დღეები ჰქონდათ წელიწადში როდესაც რაიმე სტიკიოდათ, თავს გამოუძინებლად და მოუსვენრად, შფოთიანად და ზოგადად არაჯანსაღად გრძნობდნენ.

გაგრძელება →

როგორ შეიძლება სტიგმის პრევენცია?

კარგი სამედიცინო მომსახურება და ინფორმაცია

სტიგმასთან საბრძოლველად კარგი ხერხია ნორმალური სამედიცინო მომსახურების დანერგვა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაცია უნდა მიენოდებოდეს არა მხოლოდ პაციენტს, არამედ რაც შეიძლება დიდ აუდიტორიას. კვლევის შედეგების მიხედვით, ეპილეფსიის ადრეულ სტადიაზე ფსიქოსოციალური ეფექტები ხშირად აუარესებს დაავადების სიმპტომებს. სტიგმას საჭიროა ახალგაზრდობაშივე გაუუმკლავდეთ, შემდეგ ჩამოყალიბებული აზრების აღკვეთა უფრო რთული იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდ პიროვნებებს ამ დაავადებასთან ერთად ხშირად აღენიშნებათ დეპრესიული სიმპტომებიც, Epilepsy Foundation-ის (Civil rights. Epilepsy Foundation web site. Available from: <http://www.epilepsyfoundation.org/Advocacy/rights/rights.html>. Accessed August 22, 2002.) ინიციატივით, დაიწყო ახალგაზრდების ინფორმირება და მათი ცხოვრების ხარისხის გაზრდა შესაძლებელი გზებით.

იურიდიული საკითხები

სტერეოტიპების რეგულირება საკმაოდ რთულია. მაგრამ, რეგულაციები შეიძლება დაწესდეს ქცევების შესახებ, რამაც შეიძლება თავის მხრივ ატიტუდებიც შეცვალოს.

სასამართლო ეპილეფსიას აღიქვამს შეზღუდული უნარის ერთ-ერთ სახედ, რაც მას ანტიდისკრიმინაციული კანონის ფარგლებში აქცევს. აშშ კონგრესი და სასამართლო თანხმდებიან იმაზე, რომ სხვა პიროვნების შეზღუდული უნარის შიში შეიძლება იქცეს დისკრიმინაციის საფუძვლად და ეპილეფსია სწორედ ასეთი მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ადამიანი, რომელსაც კონტროლირებადი შეტევები აქვს, არ ითვლება შეზღუდული უნარის მქონედ.

დასაქმების სფეროში ეპილეფსიის მქონე პაციენტები ჯერ კიდევ დისკრიმინირებულნი არიან, მიუხედავად თავიანთი განათლების თუ გამოცდილებისა. იმ ინდივიდებისაც კი, რომელთაც კონტროლირებადი შეტევები აქვთ, დამსაქმებლები შეზღუდული უნარის მქონედ აღიქვამენ.

დამატებითი პრობლემები იქმნება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ეპილეფსიის გამო მანქანას ვერ ატარებენ. ტრანსპორტის პოვნა სამსახურში წასასვლელად შეიძლება საკმაოდ სირთულედ იქცეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბევრი მუნიციპალიტეტი გამოყოფს ეპილეფსიის მქონე ინდივიდისთვის ტრანსპორტს, თუმცა დანარჩენები ამ მოთხოვნას უარყოფენ.

თვით-ადვოკატირება

თვით-ადვოკატირება შეიძლება ვასწავლოთ ნებისმიერ პაციენტს. მაგალითად, ამით Epilepsy Foundation (Civil rights. Epilepsy Foundation web site. Available from: <http://www.epilepsyfoundation.org/Advocacy/rights/rights.html>. Accessed August 22, 2002.) დიდი ხანია დაკავებულია. გარდა ამისა, დახმარება შეიძლება გაუწიოს პაციენტს ინდივიდუალურმა ან ოჯახის თერაპიამ. პაციენტის აქტიური ჩართულობა საკუთარი მიზნების მისაღწევად აუცილებელი პირობაა მისი ნორმალური ცხოვრებისთვის. ექიმებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ პაციენტს მიენოდებოდეს ადეკვატური, მართალი ინფორმაცია მისი სიტუაციის შესახებ. გარდა ამისა, მას უნდა მიაწოდონ იმ წყაროების სია, რომელიც ხშირად არასანდოა, მაგალითად ინტერნეტი.

<http://gypa.ge/?p=655>

მასწავლეთ, როგორ დავიხვეთ შვილი საზოგადოებისგან!

ნინო პანძელაძე

ჩემი დაგეგმილი შეხვედრა მეგობართან უბრალოდ, არ შედგა, ხოდა მივირბინე სახლში, ბექუნას სახე ხელეში მოვიმწყვდიე (ლამაზი, წმინდა, გულწრფელსიხარულიანი მზერით მიყურებდა) და ვკითხე: „მაკდონალდსში გინდა წასვლა?“ ბავშვმა ცხოველი სიხარული გამოხატა: დაიწყო ხტუნვა, ხელები ზემოთ ასწია და ხტოდა, მერე მაკოცა და ჩამეხუტა. ჩავაცვი, დავავლე ხელი და წავედი.

ყოველთვის ასე ხდება - თვითონ უნდა შემოიძღვოს თავის საყვარელ ადგილას. რატომ მოსწონთ ბავშვებს ეს გარემო, არ ვიცი, სამაგიეროდ ის

ვიცი, რომ ბექას ყოველ ჯერზე უფრო და უფრო უხარია იქ წასვლა. მოკლედ, ამყად შემოიძღვა და შევეყვი. გაიქცა სალაროსკენ და მითხრა: „კოკა კოლა აუცილებლად ამიღე“. როგორ მითხრა? სხვებს ჰქონდათ კოკა-კოლა აღებული და მათი ლანგარისკენ მიმითითა, თანაც საკმაოდ ენერგიულად. იმ სხვებმა ამრეზით და გაკვირვებით გამოიხედეს, ვილაცამ ჩაიცინა კიდევ. მე ასეთ დროს ოლიმპიურ სიმშვიდეს ვინარჩუნებ ხოლმე - „ჰო, აბა რა, დედიკო, კოკა-კოლას აუცილებლად

ბაზრქელება 



გიყიდი. მაფინი გინდა?" - ვუთითებ ვიტრინაზე, ბექამ ჟოლოს მაფინს დაატაკა თითი - ანუ უნდა. ახლა მაკდონალდსის თანამშრომელმა შემოგვხედა, თუმცა, ბექუნა იცნო და მაშინვე გაუღიმა.

ამ დროს ბავშვიანი ახალგაზრდა მამაკაცი მოადგა დახლს. ბექამ ბავშვს შეხედა, გაუხარდა, თითები შემითამაშა სახესთან - ბექას ენაზე ეს ნიშნავს „რა კარგი ვინმე მოვიდაო“ ბიძიკო თუ მამიკო ამბობს: „მე კიდევ შეშინება მინდა, შვილო? ისედაც სულ შეშინებული დავდივარ“. მის გულწრფელობაში ნამდვილად მეპარება ეჭვი - ათლეტი ახალგაზრდის შეშინება ასეთი იოლიც არ იქნება, მითუმეტეს, ბავშვის მხრიდან, თუმცა, მის კეთილგანწყობას დიდად ვაფასებ.

ერთი მაგიდა თავისუფალია, სულ ბოლოში. ბექუნამ ჩემზე ადრე შენიშნა ის და სირბილით გაიქცა, შემდეგ გულმონყალებდ დაძვინდა, როდის მივუმარჯვებდი საჭმელს და ქეიფს შეუდგა. არადა, ნაჭამია! ნეტარებით გაანადგურა ერთი დიდი პორცია კარტოფილი, დაიწყო მეორე. -დეიდა, დეიდა, დამეხმარეთ, მშია! - მესმის ბავშვის ხმა. მივეცი ფული და ბექას შევხედე „ეს ამის თქმასაც ვერ მოახერხებს. რა ეშველება, მე რომ აღარ ვიქნები?“ მერამდენედ გამიღვია ამ ფიქრმა.

ტერასის მესერს ისევ ბავშვი მოსდგომია და მეძახის: -დეიდა, დეიდა, ამეებს ვარიგებ, აიღეთ, რა! რაში მჭირდება, მაგრამ ვართმევ და მადლობას ვუხდის.

„შენ რამდენი წლის ხარ?“ - ეკითხება ბექას. ბექამ გაიღიმა, გაიღიმა ფართოდ, ბავშვურად უშუალოდ, თვითონ რომ იცის ხოლმე. ხელები შემართა და რაღაც ანიშნა.

ის ბავშვი მიხვდა!

-დეიდა - მომმართავს მე - ლაპარაკი არ იცის?

-არ შეუძლია.

-რატომ? ხომ დიდი ბიჭია?

ბექამ ყურები ცქვიტა!

-როგორ არ შეუძლია - ვცდილობ, ხმას დავუწიო

-შენ თვითონ რამდენის ხარ?

-ექვსის.

ბიჭი გაიქცა.

მაკდონალდსის თანამშრომელი გამოვიდა ტერასაზე - მაგიდა გადანმინდა, დაინახა, რომ ბექას კარტოფილი ძირს დაყროდა და იატაკის მოსუფთაების მიზნით ჩვენი მაგიდისკენ წამოვიდა.

ბექა მადლობას უხდის - წამოხტა და ხელები შემართა. უღიმის ფართოდ. თანამშრომელი გაფრთხა, ჯერ გაკვირვება გამოეხატა სახეზე, შემდეგ სხარტად გაბრუნდა უკან. მე ბექას ალერსიანად ვუღიმი - "დედა კარგ ხასიათზეა, ანუ ყველაფერი კარგადაა". თავისი კოკა კოლა გამონრუბა. წამოდგა. შარვალი ოდნავ დასწია - ანუ ტუალეტში უნდა. სასწრაფოდ წამოვკრიფე მაგიდაზე გაფანტული ნივთები. ჩანთას მხარზე ვიკიდებ, ბექამ ერთი ნაბიჯით გამისწრო - ჯერ თავის სკამს დაუწკიპურტა - უყვარს ასე, სხვადასხვა ნივთების "დაგემოვნება", მერე ჩვენს მაგიდას, გამცდა, მე უკან მივდევი. ერთი ნაბიჯით წინ მიდის, ხოდა მეზობელი მაგიდის ქალბატონის სკამს რომ ჩაუარა, მისი სკამის ზურგსაც გაუსვა ხელი და აქ მოწყვეტით შევჩერდი - იმ ქალბატონმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდი შეურაცხყოფა მიადგა, უსიამოვნოდ შეინძრა სკამზე და ბექას ამრეზით გადმოხედა.

ამის მოთმენა აღარ შემეძლო. ბექა ვაჟკაცია, მაგრამ ღირსების გრძნობას აღზრდა უნდა!

ის ბურგერი არ უნდა მეჭამა - ყელში მედგა. და მარტო ბურგერი არა.

- რა მოხდა, ქალბატონო?- ვეკითხები ჩემი ნაქები ოლიმპიური სიმშვიდით - მგონი ბავშვი არ შეგხებიათ?

-სკამზე მომიკაკუნა!

-ეს საკმარისი მიზეზია, რომ ბავშვს ასეთი ზიზლით შეხედოთ? - ისევ ღიმილი მაქვს სახეზე, 7 წლის განმავლობაში „ნატრენინგალი“ და მორგებული ღიმილი..

-რა მოხდა, გენაცვალე, მე ხომ არაფერი მითქვია!

-ბავშვია, ქალბატონო, ცელქობს, რა მოხდა მერე - ისევ ღიმილით, მაგრამ საცოდავი ღიმილით ნამდვილად არა. სწორედაც რომ პირიქით!

თქვენ წარმოიდგინეთ, ის ქალბატონი ამას მიხვდა!

და ნამდვილად არ მიკვირს, რომ აფეთქდა:

- რა მაგარი დედა ხარ შენ!

-მართალი ბრძანდებით, მაგარი დედა ვარ ნამდვილად.

ავედით მეორე სართულზე, მერე სახლში წამოვედი.

გზაში რამოდენიმეჯერ გავაპარე თვალი ბავშვისკენ, ერთი-ორჯერ ტუჩები ჩამოუშვა, ანუ ტირილი უნდოდა და იკავებდა!

მაინც მომეხვია და მაკოცა. ანუ მადლობა გადამიხადა.

P.S. გეკითხებით: ვინ უფრო „შეზღუდული შესაძლებლობისაა,“ ჩემი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ანგელოზი, რომელსაც ისეთი გონება აქვს, ბევრი რომ ვერ დაიტრიალებს, თუ იმ სოციალური მოზრდილი ნაწილი, რომლის წევრებიც ჩვენ ყველა ვართ? რატომ უნდა მჭირდებოდეს ყოველდღიური გამირობა, რომ ამ ყოფას გავუძლო? ხანდახან სასიცოცხლო ძალა იღევა, მართლა იღევა. ჩემი თავი ჯანდაბას! ბავშვია ცოდო, ასეთი გამირობისთვის განწირული ცოდოა! მასწავლეთ, როგორ დავიცვა თქვენგან - საზოგადოებისგან!

მასწავლეთ, როგორ არ უნდა მეზიზღებოდეთ, როგორც კი მას გულს ატკენთ?! და როგორ შევხვდე მშვიდად გარდაუვალ არყოფნას, როცა ამ მზის ქვეშ ამ ქვეყანაში განსხვავებული ადამიანისთვის არსად მოიძებნება ადგილი!

მესმის, რომ ძნელია ყველა მშობლისთვის ასეთი და მსგავსი მომენტების ყოველდღიურად გადატანა, მაგრამ შვილის სიყვარული ისაა, დავიცვათ ისინი მაშინ, როცა არ შეუძლიათ საკუთრი თავის დაცვა, დავიცვათ ისინი და მათი ღირსება. ბავშვის თანდასწრებით ნუ შეხვალთ კონფლიქტში, ნურც ავად და ნურც „კეთილად“ განწყობილ არამკითხე მოამბებთან, რომლებსაც ბავშვის თანდასწრებით შეუძლიათ სრულიად მოურიდებელი კითხვების დასმა მის ჯანმრთელობაზე. ნუ გასცემთ მათ პასუხს მაშინვე, გაიღიმეთ და გაარიდეთ შვილი, თუ ის პატარაა, თუ მოზრდილია, ეგებ უკეთესიც კი იყოს არამკითხვებისთვის ადგილის მიჩენა.

იყავით ყოველთვის შვილის მხარეზე, გიყვარდეთ ისინი და მათი სიყვარულისგან მიიღებთ უზარმაზარ ძალას და ენერგიას, ყველაზე უკეთესი ჯილდო კი თქვენი პატარის გაღიმებული სახე იქნება. ნუ შეგეშინდებათ, რადგან ამ სამყაროს მხოლოდ სიყვარული ამოძრავებს, ის კი თქვენ გაქვთ.

<http://www.picgeorgia.com>

ჩა ეტაჟეა უამ პირთა სტატუსის ვინიჭების რეჟიმი

ლიკა ზაკაშვილი



როგორ ასრულებს ჯანდაცვის სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებს. კონკრეტულად კი რა გაკეთდა შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებისთვის?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმის მიხედვით, 2014 წელს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებისთვის უნდა მომხდარიყო სამუშაო

ჯგუფის ფორმირება, რომელიც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სიტუაციურ ანალიზს მოამზადებდა; შეიმუშავებდა რეკომენდაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების ახალ მოდელზე გადასვლის მომდევნო ეტაპის ღონისძიებების განსახორციელებლად.

ჯანდაცვის სამინისტროს მოვალეობა იყო სოციალურ მოდელზე გადასვლისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. 2015 – 2016 წლებში კი სოციალური მოდელის პილოტირება და მისი დანერგვა უნდა დაინწყოს.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებისთვის სამუშაო ჯგუფის ფორმირება არ მომხდარა. ის ახლა მიმდინარეობს. ოფიციალური უწყების ცნობით, შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების, სტატუსის დადგენის სოციალური მოდელის საბოლოო ფორმირებისა და პილოტირების მიზნით, სამუშაო ჯგუფის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხზე, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და პირთან ერთად შეხვედრა მიმდინარე წლის 4 დეკემბერს შედგა. დაისახა შემდგომი ეტაპისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ სამთავრობო გეგმის მიხედვით, სოციალურ მოდელზე გადასვლისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება ჯანდაცვის სამინისტროს მოვალეობა იყო.

სამინისტროს ინფორმაციით, მოცემულ ეტაპზე შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მხოლოდ სამუშაო ვერსია, მათ შორის „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და შემდეგი კანონქვემდებარე აქტები:

ა) „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“;

ბ) „დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომლებიც შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენენ“;

გ) „დაავადებების, ანატომიური ან გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომელთა არსებობის შემთხვევაში დასაშვებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ პირობებში შრომა“;

დ) „პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

როგორც სამინისტროს პასუხებიდან იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ სამუშაოები გეგმით განსაზღვრულ ვადებში ვერ შეასრულა. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ახლა დაიწყო. მზად არის ცვლილებების კანონპროექტის მხოლოდ სამუშაო ვერსია და უცნობია როდის მოხდება მისი ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში.

რაც შეეხება სოციალური შეფასების მოდელის შექმნისა და პილოტირების პროცესს, რომლისთვისაც გეგმით 2015-2016 წლებია განსაზღვრული, სამინისტროში გვიპასუხეს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის დამდგენი ექსპერტიზის სისტემის სრულყოფისათვის, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში იყო განსაზღვრული, ბიოფსიქოსოციალური ფუნქციონალური (ფსკ) მიდგომის საფუძველზე თავდაპირველად შექმნილ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას იღებდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ისა და ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების,“ წარმომადგენლები. მათი მხარდაჭერით შეისწავლეს საერთაშორისო გამოცდილება საქართველოს რეალობასთან მისადაგებული შეფასების ახალი მოდელის ჩამოყალიბების მიზნით, დაიქირავეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი ექსპერტი - ქალბატონი ილენ ზაიტცერი, რომელიც რამდენიმეჯერ იმყოფებოდა საქართველოში. ის გაეცნო არსებულ მდგომარეობას და გამართა საქმიანი შეხვედრები ყველა დაინტერესებულ პირთან. მუშაობის შედეგად წარმოადგინა რეკო-

მენდაციები ფუნქციონალური სტატუსის შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. სამწუხაროდ, დაქირავებული ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი არ აღმოჩნდა საკმარისი აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის, ვერ პასუხობდა ქვეყანაში არსებულ რეალობას და გათვლილი იყო მხოლოდ საწარმოო ტრავმის, პროფესიული დაავადებისა და შრომითი დასახიჩრების მიზეზით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდა მუშაობა: შემდეგ მათ შემოგვთავაზეს ბრიტანელი ექსპერტი დოქტორიპოლ კლიფორდი, რომელმაც წარმოადგინა ნაშრომი „ახალი მიმართულებები ინვალიდობის სფეროში საქართველოსთვის“. იმისთვის, რომ უფრო სრულყოფილი გამხდარიყო შეზღუდული შესაძლებლობის დადგენის ექსპერტიზის სისტემა, მუშაობა“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2013-2016 წლების სამთავრობო გეგმის, ფარგლებშიც გაგრძელდება, რაც გულისხმობს, რომ შემუშავდება სტატუსის განსაზღვრის მოდელი, დამტკიცდება ფსკზე დაფუძნებული მოდელის დანერგვის გეგმა და, შესაბამისად, განხორციელდება პილოტირებაც“.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლის ლინა ღვინიაძის თქმით, ახალი მოდელის დანერგვის პროცესის საწყისი ფაზის დასრულების ნაცვლად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ახლა დაიწყო სამუშაო პროცესი რეფორმის ხედვის მომზადებისათვის, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა დაგვიანებულია.

„ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, რაც სახელმწიფომ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით უნდა გასწიოს. სოციალურ მოდელზე მუშაობის გამოცდილება კი ძალიან ცოტას თუაქვს, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის გამოყენების საჭიროებასაც გულისხმობს. პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს სოციალური მოდელის სათანადო ხედვის შემუშავებას, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს კვალიფიციური პირების მონაწილეობით, ინტენსიური პროცესის ორგანიზებას და მის შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას. რეფორმის დაგვიანების პირობებში, სახელმწიფოს წინაშე ასევე მისი გონივრულად მოკლედროში განხორციელების გამოწვევა დგას,“ - ამბობს ლინა ღვინიაძე

მისივე თქმით, სოციალური მოდელის დანერგვა ერთ-ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკით-

ხია და ამგვარი სისტემის არარსებობა ნიშნავს, რომ დღეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეფასება, მათი საჭიროებების გამოვლენა არ ხდება ინდივიდუალური მიდგომის მიხედვით და შედეგად, სერვისები, რომლითაც ისინი სარგებლობენ, ვერ პასუხობს მათ რეალურ საჭიროებებს.

ანა არგანაშვილი ყურადღებას რეფორმის არსის სწორ გაგებაზე ამახვილებს დაამბობს, რომ ცვლილებებთან ერთად მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში დანერგვა.

„მაგალითისთვის გეტყვი, რომ 2015 წელს ქართულ კანონმდებლობაში უკვე გაჩნდა მავალდებულებელი რეგულაციები ქმედუნარიანობის ახალი სისტემის შესახებ, რომელიც პრაქტიკაში სწორედ სოციალური მოდელის დანერგვას გულისხმობს. თუმცა რა მივიღეთ რეალობაში? ძალიან ბევრი სპეციალისტი ჯერ ისევ რჩება სამედიცინო მოდელის სფეროში და ახალ საკანონმდებლო ნორმებს, სამედიცინო მიდგომით ახორციელებს. მე ვეხები ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის ინსტიტუტს, სადაც ჯერ ისევ შეინიშნება დიაგნოზზე დაფუძნებული მიდგომა

და არ არის განხორციელებული პრაქტიკაში ის, რისთვისაც ახალი კანონმდებლობა დაინერა.

მამასადამე, სოციალურ მოდელზე გადასვლას ახლავს სერიოზული რისკი იმისა, რომ შეიცვლება ტერმინები, კანონები, სახელები - თუმცა შინაარსი დარჩება იგივე. ეს რომარ მოხდეს, სამოქალაქო სექტორი, მათ შორის ჩემი ორგანიზაცია მზადაა ითანამშრომლოს სახელმწიფო უწყებებთან. გაუზიაროს 10 წლის განმავლობაში ამ სექტორში დაგროვილი ცოდნა და გაინანილოს პასუხისმგებლობა ახალი, სოციალური მოდელის პრაქტიკაში განსახორციელებლად. სწორედ, ამის გაკეთებას ვგეგმავთ უახლოეს თვეებში“, - განუცხადა „ლიბერალს“ ანა არგანაშვილიმა.

შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა, რომელიც ძალაში შევიდა 2014წლის 12 აპრილიდან.

<http://liberali.ge/articles/view/20093/ra-etapzea-shshh-m-pirta-statusis-minichebis-reforma>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გენდერული როლების მსხვერპლი



ესმა გუმბარიძე

ვინაიდან ქალთა უფლებებზე მათ შორის საქართველოშიც უკვე საკმაოდ ბევრი რამ ითქვა და დაინერა, ამიტომ ამ ესესთვის შევარჩიე თემა, რომელთანაც ჩემი პირადი გამოცდილებით მაქვს შეხება და რომელზედაც ყველაზე ნაკლებს საუბრობენ, კერძოდ კი ქალები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ამ ესეში სწორედ ამ ორ ცხოვრების დამამძიმებელ გარემოებას შორის მიმართებაზე ვისაუბრებ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დედათა, როგორც მზარეულების, ჭურჭლის მრეცხავების, საქონლის მომვლელების, დამლაგებლებისა და სუფრების გამშლელ-ამლაგებლების, გენდერული როლით ყველაზე მეტად სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ზარალდებიან. ხშირად მინახავს ქუჩაში გაზრდილი "კარგი ოჯახის შვილები", რომელთა დედებიც მთელი დღე

ზემოთჩამოთვლილ მოვალეობათა შესრულებაში არიან, მამები კი საერთოდ ან თითქმის საერთოდ არ მონაწილეობენ შვილთა აღზრდაში. შედეგი ისაა, რომ "კარგ ოჯახებში" შვილთა აღზრდა ხშირად შემოიფარგლება საჭმელზე შინ დაძახებით, მოდური აქსესუარების ყიდვით, ჯიბის ფულის რეგულარულად მიცემით, რეპეტიტორთა დაქირავებით, უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდითა და "ისწავლე შვილოს" ძახებით. ახლა წარმოიდგინეთ ამგვარი ოჯახის შვილი შშმ ბავშვი, რომელსაც გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად ქუჩაში გასვლა, იქ ადამიანებთან ურთიერთობების დამყარება, ანუ რომლისთვისაც ქუჩაში სწავლა-განვითარების შესაძლებლობა

შეზღუდულია. წარმოიდგინეთ ამგვარი ოჯახის შვილი უსინათლო ან ყრუ ბავშვი, რომელიც ვერ ხედავს ქუჩაში განვითარებულ მოვლენებსა და არ ესმის, რას ამბობენ ქუჩაში მყოფი მისი თანატოლები და არათანატოლები. ანუ როცა დედა შშმ ბავშვისთვის ვერ, მამა კი – არ იცლის, არაშშმ ბავშვისგან განსხვავებით შშმ ბავშვს ქუჩაში განვითარების პირველი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობაც არ აქვს, რაც თავისთავად იწვევს ამ ბავშვის გარიყულობასა და საზოგადოებიდან გამოთიშვას ადრეული ასაკიდანვე.

ამასთან ოჯახში შშმ ბავშვის დაბადება ხშირად ბრალდება დედას, მის ფიზიკურ თუ მორალურ ნაკლოვანებებს, შეცდომებს, რაც ამგვარი ბავშვის დაბადებით ისედაც ტრავმირებული და დაბნეული დედის დამატებითი ჩაგვრისა და ზოგ შემთხვევაში მასზე ძალადობის მიზეზი ხდება. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადების შემდეგ მამა, სურს რა თავისი შვილის წინაშე არსებულ პასუხისმგებლობას გაექცეს და თვლის რა თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის დაბადებაში სრულიად უდანაშაულოდ და ადანაშაულებს რა თავის მეუღლეს, შორდება მას და ტოვებს ოჯახს, რაც შშმ ბავშვის დედისთვის ნიშნავს შვილის მატერიალური უზრუნველყოფის მთელი სიმძიმის დანოლას, რის გამოც დედას აღარ რჩება დრო შშმ შვილის განვითარებაზე მუშაობისთვის, რაც შშმ ბავშვის განვითარებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – არაშშმ-თვის. აქვე აღვნიშნავ, რომ ზოგადად შშმ ბავშვის განვითარებაზე სამუშაოდ საჭიროა უფრო მეტი დრო და ძალისხმევა, ვიდრე – არა შშმ ბავშვის განსავითარებლად.

ქართულ რეალობაში არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როცა ოჯახს, არ სურდა რა სამეზობლოში თავისი შშმ შვილის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულიყო, რაც, მათი წარმოდგენით, ხელს შეუშლიდა მათი შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე შვილების დაოჯახებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გოგონა ერთ ოთახში ჰყავდათ ჩაკეტილი საზოგადოებისგან სრული იზოლირების მიზნით, იმისთვის კი, რომ მას ხმა არ ამოელო და სახლში შემოსულ სტუმრებს მისი არსებობის შესახებ არ გაეგოთ, სცემდნენ და ფიზიკურად სისტემატურად ძალადობდნენ მასზე. შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობა ქალზე ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი შესაძლო საფუძველია.

წინა სამ აბზაცში აღწერილი გარემოებები ხელს უშლის შშმ პირის ბავშვობაში ნორმალურ განვითარებას. ბავშვობა კი განვითარებისთვის საუკეთესო პერიოდია და ძალიან რთულია ზოგადად ადამიანის და, მითუმეტეს, შშმ პირისთვის, დაენიოს ბავშვობაში უფროსების ბრალე-

ულობით ხელიდან გაშვებულ განვითარების შესაძლებლობებს და აანაზღაუროს დაკარგული წლები. შესაბამისად შშმ პირები ბავშვობაში გაშვებული დროის გამო ვეღარ ახერხებენ თავიანთი პოტენციალის სრულად ათვისებასა და გამოყენებას, ვერ ახერხებენ კონკურენტუნარიანი პროფესიული, საგანმანათლებლო თუ პირადი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების სრულფასოვნად დაუფლებას, რაც საზოგადოებაში ხელს უწყობს იმ სტერეოტიპის დამკვიდრებას, თითქოს შშმ პირებს არც შეიძლება, ჰქონდეთ დამოუკიდებელი პროფესიული, საგანმანათლებლო თუ პირადი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, შესაბამისად იმ შშმ პირებსაც უჭირთ განათლების მიღება, მოხალისეობა/სტაჟირება, არა შშმ პირებზე ორიენტირებულ აქტივობებსა და ორგანიზაციებში ჩართვა და დასაქმება, რომლებსაც ბავშვობაში გაუმართლათ და რომლებმაც შეძლეს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის შექმნა. ამგვარი შშმ პირების დასაქმების შემთხვევაშიც კი ისინი ხშირად რჩებიან მათი კვალიფიკაციისთვის შეუსაბამოდ დაბალ პოზიციებზე, გართულებული აქვთ კარიერული წინსვლა და თითქმის ვერასდროს აღწევენ გადანყვეტილების მიმღებ ან საერთაშორისო ასპარეზზე წარმომადგენლობით პოზიციებზე დანიშნვას. შესაბამისად მათი ხმაც საზოგადოებაში საკმაოდ სუსტია. მაგალითად, ანტიგუას სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაეროში უსინათლოა, გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი შინაგან საქმეთა მინისტრიც უსინათლო იყო დაბადებიდან, საქართველომ კი ვერ შეძლო, დაენიშნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში მაინც. ამ პოზიციას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აცხადებს 2012 წლიდან და ეს ერთწლიანი დროებითი აუნაზღაურებელი პოზიციაა. არადა 2014 წელს საქართველომ მოახდინა გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება და ერთ წელიწადში მოუწევს გაეროს შშმ პირთა უფლებათა დაცვის საბჭოს წინაშე ამ კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე ანგარიშით წარდგომა. ანუ დედაზე ძალადობა, ჩაგვრა, მიტოვება ანდა მშობელთა შორის ოჯახურ მოვალეობათა არაპროპორციული გადანაწილება ხელს უშლის მომავალი თაობის შშმ პირთა სრულფასოვან განვითარებას.

პრობლემურია ასევე შშმ ქალთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საიდუმლოება სამედიცინო მომსახურების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამართლებრივად განმტკიცებული და უზრუნველყოფილია პაცი-

ენტის დიაგნოზისა და სხვა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების განწევისას სამედიცინო პერსონალი, როგორც წესი, ოთახიდან არ ითხოვს ამ შპმ პირის (თუნდაც ის მხარდაჭერის მიმღები არ იყოს) ოჯახის წევრებსა და თანმხლებ პირებს, მაშინ როცა შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პაციენტისთვის იგივე მომსახურების განწევისას მის თანმხლებ პირებს აუცილებლად დაითხოვდნენ. პირიქით, შპმ პაციენტის მომსახურებისას სამედიცინო პროცედურებთან, მის დიაგნოზთან ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას ექიმები აცნობენ არა უშუალოდ შპმ პაციენტს, არამედ – მის თანმხლებ პირებს, რაც გამოწვეულია სამედიცინო პერსონალის სტერეოტიპული აზროვნებით გულგრილობითა და შპმ პაციენტისთვის მისი ოჯახის წევრთა/ თანმხლებთა დახმარების გარეშე სამედიცინო მომსახურების განწევასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეებთან გამკლავებისგან პასუხისმგებლობის არიდების სურვილით. არსებობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა გამხელა შპმ ქალს უფრო მეტად, ვიდრე – შპმ მამაკაცს, შეიძლება, არ სურდეს თუნდაც თავისი ოჯახის წევრებთან, რისი უფლებაც მას აქვს შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალების მსგავსად, თუმცა ამ უფლების განხორციელება ძალზე ჭირს.

ცალკე განსახილველი საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, უფრო მეტად კი კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა, პირადი ცხოვრებისა და დაოჯახების პრობლემა. მაშინ როცა შპმ პირთა განათლების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და დასაქმების იდეა თბილისში თეორიულად მაინც აღიარებულია, დაოჯახებისა და პირადი ცხოვრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯერკიდევ ტაბუირებული თემაა. ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს უფრო უჭირს ოჯახის შექმნა იგივე ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებთან შედარებით. ეს განპირობებულია ისევედასევე ქალის გენდერული როლის შესახებ გაბატონებული შეხედულებებით, რომლის მიხედვითაც სწორედ მას ევალება სახლის მოვლა, საჭმლის მომზადება, ქმრის მომსახურება და შვილების აღზრდა. აქედან გამომდინარე, თუ საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ შპმ ქალს არაფრის კეთება არ შეუძლია, ის ჩაითვლება არასასურველ საცოლედ, შეყვარებულად და ოჯახის წევრად, მაშინ როცა მამაკაცს მაინც არ ეკისრება ზემოთჩამოთვლილ საოჯახო მოვალეობათა შესრულება და ქალთან შედარებით უფრო ეპატიება უსაქმურობა, მისი შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს მისი

პირადი ცხოვრებისთვის იმგვარ დაბრკოლებას, როგორც – შპმ ქალისთვის. ამასთან საქართველოში გაბატონებული ქალის სილამაზის კონკრეტული სტანდარტის კულტი ასევე უშლის ხელს შპმ ქალს, ვინაიდან ის ამ სტანდარტებში, საზოგადოების აზრით, ვერ ჯდება.

ვინაიდან საქართველოში ქალთა რაოდენობა პოლიტიკურ და გადამწყვეტილების მიმღებ სხვა მაღალ თანამდებობებზე ძალზე მცირეა, შპმ პირთა რაოდენობა კი ამ თანამდებობებზე კიდევ უფრო ნაკლები, შპმ ქალები არიან ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი, როგორც სქესის, ისე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს პარლამენტის ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრი (ეტილით მოსარგებლე) მამაკაცი იყო. შპმ ქალებს კი საქართველოში დღემდე არცერთი პოლიტიკური თანამდებობა არასდროს არ დაუკავებიათ, რასაც ასევე გარკვეულწილად ხელს უწყობს შპმ ქალთათვის ოჯახის შექმნის სირთულე, ვინაიდან საქართველოში დღეს გაბატონებული წარმოდგენის შესაბამისად, გადამწყვეტილების მიმღებ მაღალ თანამდებობაზე მყოფი ქალი აუცილებლად დაოჯახებული უნდა იყოს.

ზემოთაღწერილი პრობლემების მოსაგვარებლად შპმ პირთა უფლებათა მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიების უზრუნველყოფა არ არის საკმარისი. მართალია, დისკრიმინაციას მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით კრძალავს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა და აღნიშნა, რომ ეს მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას არა მხოლოდ მასში პირდაპირ ჩამოთვლილი, არამედ სხვა ნიშნებითაც; გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2014 წელს მოახდინა, რითაც ის ჩვენი სახელმწიფოს სამართლის სისტემის ნაწილი გახდა; საქართველოს შრომის კოდექსი, რომლის მე-2 მუხლითაც იკრძალება შრომით და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა ურთიერთობებში დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დანაშაულად აცხადებს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ისეთი დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებას, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი მოყვა; და ბოლოს, საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. თუმცა ამ მრავალფეროვან საკანონმდებლო გარანტიათა მიუხედავად, შპმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა,

საზოგადოებაში სრულფასოვან წევრებად ინტეგრაცია და მათი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობები საქართველოში მაინც მეტად მწირია. ადამიანი იძენს შესაძლებლობებს მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების მეშვეობით. უფლება თეორიულად გამოხატული იდეაა, დაშვებაა, რომ თუ ადამიანს ოდესმე ექნება რამე ან ის რამეს მიაღწევს, მას იმ რალაცას ხელიდან არ გამოსტაცებენ. შესაძლებლობა კი უფლების განხორციელების საშუალებაა, გზაა. შესაძლებლობა უფლების ხორცშესხმაა, მისი მამოძრავებელი ძრავია. შესაძლებლობა არის ის, თუ რეალურად რის მიღწევა შეუძლია ადამიანს საზოგადოებაში, რა სიკეთებით სარგებლობა. შესაბამისად ზემოთჩამოთვლილ პრობლემათა მოგვარებისკენ მნიშვნელოვან გადასაღვამ ნაბიჯად მიმაჩნია შშმ ქალთა მეინსტრიმინგი, ანუ მათი ჩართვის ხელშეწყობა ისეთი ორგანიზაციების აქტივობებში/მუშაობაში და თუნდაც გადანყვეტილების მიღების პროცესში, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ არ უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებს. მნიშვნელოვანია წარმატებული შშმ ქალთა საქმიანობის გაცნობა საზოგადოებისთვის, მათი შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპების დამსხვრევის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია, შეზღუდულ შესაძლებლობებზე არამომუშავე ორგანიზაციებმაც გაითვალისწინონ შშმ პირთა საჭიროებები, პრობლემები და განხორციელონ ამ პირთა უფლებათა დაცვისკენ მიმართული აქტივობები. და ბოლოს, მნიშვნელოვანია მშობლებისთვის შშმ პირთა განვითარებაზე ზრუნვის ხელშეწყობა და დახმარება, ასევე ამგვარი ზრუნვის მნიშვნელობისა და შედეგიანობის მშობელთათვის ჩვენება.

ჰიპერაქტიური ბავშვი



ჰიპერაქტიურობა ბავშვებში ვლინდება ასაკისადმი შეუსაბამო უყურადღებობით, გონება-დაფანტულობით, იმპულსურობით და ზედმეტი აქტიურობით. ჰიპერაქტიურობის პირველი გამოვლინება ხდება 7 წლამდე, განსაკუთრებით მეტყველების ჩამოყალიბების პიკების პერიოდებში - 1-2 წლის (ყალიბდება მეტყველების პირველი ჩვევები), 3 წლის (მატულობს სიტყვიერი მასალა) და 6-7 წლის ასაკში (ყალიბდება კითხვის და წერის ჩვევები). მოზარდთა ასაკში, როგორც წესი, ზედმეტი აქტივობა მცირდება, მაგრამ იმპულსურობა და ყურადღების დეფიციტი რჩება. სამწუხაროდ, დღემდე გამეფებულია შეხედულება, თითქოს ჰიპერაქტიურობა მხოლოდ

ქცევითი პრობლემა იყოს. არასპეციალისტები უმართებულოდ ხშირად მხოლოდ მომატებული აქტიურობის გამო მიაწერენ ხოლმე ბავშვს ჰიპერაქტიულობას. სინამდვილეში ეს სამედიცინო დიაგნოზია და მისი დასმა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია. ჰიპერაქტიურობის ძირითად მიზეზად მიიჩნევა ორსულობისა და მშობიარობის პათოლოგია, ბავშვის პირველი წლების ინფექციები და ინტოქსიკაცია. სპეციალისტების მტკიცებით, ზოგიერთი „ჰიპერაქტიურობის სინდრომის“ მქონე ბავშვი გამოირჩევა მაღალი კომპენსაციის უნარით, თუმცა მათი განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა. პირველ რიგში, ბავშვი უნდა ვითარდებოდეს კეთილმოყვებულ გარემოში, ინტელექტუალური გადატვირთვების გარეშე, მშვიდ ემოციურ ატმოსფეროში. სასურველია, მისი სწავლება ხდებოდეს სპეციალური პროგრამით. თუ ეს პირობები სრულდება და ბავშვს ამასთანავე აქვს შესაბამისი მედიკამენტოზური მხარდაჭერა, 3-4 წელიწადში ის სრულად უსწორდება თანატოლებს. ჰიპერაქტიური ბავშვის მკურნალობა კომპლექსური პროცესია - მასში მონაწილეებენ ნევროლოგი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და მშობლები, რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია განემარტოს მშობლებს, რომ ბავშვი ასე იქცევა არა მშობლების ჯიბრზე, არამედ იმიტომ, რომ მას ფიზიოლოგიური პრობლემები აქვს, რომლებსაც დამოუკიდებლად თავს ვერ გაართმევს. ნევროლოგი და ფსიქოლოგი

მშობლებს, საჭიროების შემთხვევაში კი პედაგოგებსაც, განუმარტავენ ასეთი ბავშვის თავისებურებებს, რათა ერთობლივი ძალისხმევით დაიძლიოს ბავშვის პრობლემები. როგორც წესი, ჰიპერაქტიური ბავშვის მშობლები განიცდიან დიდ სიძნელეებს მასთან ურთიერთობისას. ზოგნი ცდილობენ მკაცრი ზომებით ებრძოლონ ბავშვის „გაუფიქრობას“, უზრდიან დატვირთვებს, მკაცრად სჯიან პატარა სიცელქის გამოც კი, შემოაქვთ შეუხრელი აკრძალვები. ზოგნი, ყველა მცდელობის გაქარწყლების შემდეგ, საერთოდ აღარ აქცევენ ყურადღებას მის საქციელს, რითაც ართმევენ მას მოზრდილების მხარდაჭერას, რომელიც ასე საჭიროა მისთვის. ზოგი მშობელი, მოსმენილი შენიშვნისა და გამოხატვის შემდეგ, მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს ყველაფერში და დეპრესიაში ვარდება, რაც თავისთავად კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. ხშირად მშობელი იბნევა, აღარ იცის, როგორ მოიქცეს ბავშვთან, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მივანოდოთ საჭირო რეკომენდაციები ბავშვის ახლობლებს. ბავშვის დედას, მამას, ბებიას და ბაბუას უნდა აუხსნათ, რომ ბავშვი არ არის დამნაშავე თავის საქციელში, რომ ზედმეტი სიმკაცრე და დასჯა მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას. ჰიპერაქტიურ ბავშვს უნდა ვესაუბროთ მშვიდად, ალერსიანად. ასეთი ბავშვები ძალიან ემოციურები არიან და მალე იზიარებენ ჩვენს გუნება-განწყობას. ჰიპერაქტიური ბავშვები ხშირად სწრაფად ითვისებენ ინფორმაციას, რაც აძლევს მშობლებს საბაზს მისცენ მათ დამატებითი დატვირთვები სხვადასხვა წრეების სახით. თუმცა სასწავლო დატვირთვების გაძლიერება ხშირად იწვევს გადაღლას, ჭირვეულობას და საერთოდ უარის თქმას სწავლაზე. ზოგი მშობელი ირჩევს ყველაფრის უფლება მისცეს ბავშვს და მიხვედრილი ბავშვი ძალიან მალე იწყებს მოზრდილებით მანიპულირებას. იმის გამო, რომ ასეთ ბავშვს განსაკუთრებით სჭირდება ნებადართულობის ზუსტი საზღვრები და აუცილებელი „უკუკავშირი“, მოზრდილთან, ასეთ შემთხვევაში საქციელი მხოლოდ მძიმდება. როგორც წესი, ჰიპერაქტიურ ბავშვს ყველგან აძლევენ შენიშვნებს - სახლში, საბავშვო ბაღში, სკოლაში, რის გამოც ძალიან ზარალდება მისი თვითშეფასება. ამიტომ ის ხშირად უნდა შევაქოთ წარმატებებისა და მიღწევებისთვის, თუნდაც მცირეოდენისთვის. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაუშვებელია დაუმსახურებელი შექება.

ყველა ბავშვი, განსაკუთრებით კი ჰიპერაქტიური (ის განსაკუთრებით მგრძობიარეა), მალე ხვდება არაგულწრფელობას და თქვენ მის ნდობას დაკარგავთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოზრდილმა ასეთი ბავშვი ზედმეტი ემოციურობის გარეშე უნდა შეაქოს, რათა არ გამოიწვიოს მისი უფრო მაღალი აღზნება. თუ

მოზრდილს უნდა მიაღწიოს იმას, რომ ბავშვმა შეასრულოს მისი მითითებები და თხოვნები, მან უნდა ისწავლოს მისთვის ინსტრუქციების მიცემა. პირველ რიგში, მითითება უნდა იყოს მოკლე, შეიცავდეს არა უმეტეს 10 სიტყვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი უბრალოდ „გამოირთვება“ და ვერ გაგიგონებთ. მშობლებმა არ უნდა მისცენ მას რამდენიმე დავალება ერთდროულად. სჯობს ისინი მივცეთ თანმიმდევრულად, ცალ-ცალკე. თანაც ეს დავალებები უნდა იყოს შესრულებადი როგორც ფიზიკურად, ასევე დროში. საჭიროა მათი შესრულების გაკონტროლება. თუ მშობლები თვლიან, რომ რაღაც ქმედებები ბავშვს უნდა აეკრძალოს (მაგალითად, ასანთის ალება, ეზოში მარტო თამაში), უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი აკრძალვები უნდა იყოს ძალზე ცოტა, ისინი წინასწარ უნდა იყვნენ გაჟღერებული ბავშვთან და ჩამოყალიბებული იყვნენ ძალიან მკაფიოდ და მტკიცედ. ამასთანავე სასურველია, ბავშვმა იცოდეს, რა სანქციები მოელის მას ამა თუ იმ აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში. თავის მხრივ, მშობლები უნდა იყვნენ თანმიმდევრულები სანქციების გატარებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი ყოველთვის იქნება მშობლის ხასიათის მსხვერპლი და შეეშინდება არა კონკრეტული დასჯის, არამედ ნებისმიერი „ემოციური ქარიშხლის“, - ბავშვი შეეცდება დამალოს თავის საქციელი მშობლისგან, რაც კიდევ უფრო გაართულებს მათ ურთიერთობას. ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობლები უნდა მოერიდნონ მკვეთრ აკრძალვებს, რომლებიც იწყება სიტყვებით „არა“, „არ შეიძლება“. ჰიპერაქტიური ბავშვი იმპულსურია, ის მაშინვე გიპასუხებთ დაუჯერებლობით ან სიტყვიერი აგრესიით. ამ შემთხვევაში საჭიროა ბავშვს ვესაუბროთ მშვიდად და თავშეკავებით, თუნდაც ეს აკრძალვას ეხებოდეს. ამასთანავე სჯობს მას არა უბრალოდ ავუკრძალოთ, არამედ მივცეთ არჩევანის უფლება. მაგალითად, თუ ბავშვი ხმამაღლა ყვირის, შეიძლება მას შევთავაზოთ ჩვენთან ერთად იმღეროს რამდენიმე მისი საყვარელი სიმღერა და ა. შ. იმპულსურობის გამო ჰიპერაქტიულ ბავშვს უჭირს მშობლის მოთხოვნისთანავე ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლა. ხანდახან სჯობს წინასწარ გავაფრთხილოთ ის, რამდენიმე წუთით ადრე. თანაც სასურველია, შემხსენებელი იყოთ არა თქვენ, არამედ მალვიძარა ან სამზარეულოს თაიმერი. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი პირნათლად ასრულებს ყველა მოთხოვნას, არ უნდა დაგვაგინყდეს მისი შექება ან დაჯილდოება. ხშირად ჰიპერაქტიური ბავშვების მშობლები ირწმუნებიან, რომ მათი შვილები არასოდეს არ ილღებიან, დღის განმავლობაში ბევრს მოძრაობენ და გვიან იძინებენ. რა თქმა უნდა, ბავშვები

იღლებიან - სწორედ ეს დალილობა ვლინდება მათ მოუსვენრობაში, რომელსაც მშობლები აქტიურობად თვლიან. ასეთი ბავშვები ძალიან მალე იღლებიან, ეს იწვევს მათი თვითკონტროლის დაქვეითებას და ჰიპერაქტიურობის მომატებას, რისგანაც ზარალდებიან თვითონაც და მშობლებიც. ამიტომ ბავშვის აღზნებადობის მომატების თავიდან ასაცილებლად მშობლები უნდა ეცადნენ აარიდონ ბავშვები ბევრი ხალხის თავშეყრის ადგილებს, მოერიდონ ერთბაშად ბევრი სტუმრის დაპატიჟებას. აუცილებელია დღის რეჟიმის დაცვაც - ეს ეხება როგორც საკვების მიღებას, ასევე გართობას, დავალებების მომზადებას და ძილს. შეძლებისდაგვარად ასეთი ბავშვი უნდა მოვარიდოთ ხანგრძლივ ჯდომას კომპიუტერთან და ტელევიზორთან - ისინი განსაკუთრებით ამწვავებენ ემოციურ აღზნებას. ჰიპერაქტიური ბავშვისთვის ძალიან სასარგებლოა სუფთა ჰაერზე გასეირნება ძილის წინ, მშობლებთან ერთად. ამ დროს მშობლებს აქვთ საშუალება გულახდილად ისაუბრონ მასთან, გაიგონ მისი პრობლემების შესახებ. სუფთა ჰაერი და მშვიდი სიარული კი დაამშვიდებს მას.

<http://www.dendroni.ge/ka/statiebi/article/7550-hiperaqtiuri-bavshvi-natsili-ii>

„ქართული ცენტრი“ ვაშინგტონში

From USA to GEORGIA



GEORGIAN CENTER ქართული ცენტრი

გიორგი ჯანელიძე

2015 წელს ვაშინგტონში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა ორგანიზაცია „ქართული ცენტრი“, დააარსეს. იდეა გასული წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ დაიბადა. ამერიკის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა სათანადოდ ვერ იყენებს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის პოტენციალს, რაც ხელს შეუწყობდა უცხოეთში საქართველოს პოპულარიზაციას. ვაშინგტონში მცხოვრები ქართველის, ვლად ბრეგვაძის ინიციატივით გაჟღერდა არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომლის ძირითადი მიზანიც ქართული კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაცია იქნებოდა. პრეზიდენტმა მოიწონა იდეა და აღნიშნა, რომ აშშ ქართულ

დიასპორას დიდი ძალა აქვს და მართლაც შეუძლია ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. გასული წლის დეკემბერშივე, ვლად ბრეგვაძის ხელმძღვანელობით დაარსდა „ქართული ცენტრი“, რომელიც ჩანაფიქრის თანახმად, ამერიკაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ინოვაციების დანერგვასა და ახალგაზრდა თანამემამულეთა განათლებას შეუწყობს ხელს.

ცენტრმა უმოკლეს ვადებში შეძლო რესურსების მობილიზება და საქართველოში პირველი საქველმოქმედო პროექტიც განახორციელა: საახალწლოდ, „ქართული ცენტრის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, გიორგი ბითაძე საქართველოს ეწვია და როგორც „ქართული ცენტრის“, ასევე, ამერიკის ქართული დიასპორის სახელით, ბებნისის დედათა მონასტერთან არსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სკოლას კომპიუტერული ტექნიკა და საახალწლო საჩუქრები გადასცა.

როგორც „ქართული ცენტრიდან“, გვაცნობეს, ამ ახალ ორგანიზაციას სხვადასხვა პროფესიის მქონე, შვიდი გულანთებული, მაღალკვალიფიციური



გაგრძელება →



თანადამფუძნებელი ჰყავს. მათი დევიზი ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული დიასპორის გაერთინება და საქართველოს პოპულარიზაციაა. გიორგი ბითაძე შეერთებულ შტატებში 2003 წლიდან ცხოვრობს, ვლად ბრეგვაძეს ამერიკაში ყოფნის თექვსმეტწლიანი სტაჟი აქვს. სხვა მათი თანადამფუძნებლების მსგავსად, მთელი ეს დრო ამ ქვეყანაში ინტეგრაციას დაუთმეს. ახლა, უკვე სამშობლოზე ზრუნვის დროც დადგა. ქართული ცენტრის შექმნა საქართველოს სიყვარულმა დამისი ლამაზი კულტურის პოპულარიზაციის სურვილმა გადაგვანყვეტინაო, ამბობენ ისინი. ნოსტალგია რომ ქართველი კაცის თანმდევი ტვირთია, ამაზე არავინ კამათობს. განსაკუთრებით ქართველების შემთხვევაში ისე მძაფრად მუშაობს, რგოგორც

არცერთი ერის წარმომადგენელთან. თუმცა, ამ კითხვაზე ჩვენ რესპონდენტებს უკვე მოუძებნიათ თანამედროვე, საკმაოდ მომხიბვლელი პასუხი: „ჩვენ ემიგრანტების ის თაობა ვართ, რომელიც თავისი სურვილით ჩამოვიდა ამ ქვეყანაში და წარმატებით მოახდინა ასიმილირება. მაგრამ, ამავე დროს არ მოწყდა ქართულ კულტურას. ამისათვის ჩვენ ვატარებთ ქართულ ღონისძიებებს, ბავშვებს ვასწავლით ქართულ ენას, ცეკვა-სიმღერებს, ვამზადებთ ქართულ კერძებს და ვამბობთ ქართულ სადღეგქლოებს, და როდესაც საქართველოზე ფიქრით სული მკერდში აღარ ეტევა, ვყიდულობთ ბილეთს და 22 საათის შემდეგ საქართველოს ვეხუტებით“, მოგვწერა ვლად ბრეგვაძემ.

„ქართული ცენტრი“ კვარტალში ერთხელ გეგმავს ხელოვნების ნიმუშების გამოფენის, ლიტერატურული საღამოების, ქართული კინოს სარეტროსპექტივო ჩვენებების, ასევე, ქართული ტრადიციული ცეკვისა და სიმღერის კონცერტების ორგანიზებას. ამასთანავე, ცენტრის უახლოეს გეგმებში მენტორის პროგრამის განხორციელებაც შედის, რომლის ფარგლებშიც იგი მსურველ ახალგაზრდებს პროფესიული, საგანმანათლებლო და სხვა სახის გამოცდილებას გაუზიარებს. ახლადშექმნილი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც დიასპორის, ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს საელჩოსთან ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ დაფუძნებულ სათვისტომო ორგანიზაციებთან. „ქართული ცენტრი“ აქტიურად მონაწილეობს აშშ სამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ დიასპორის განვითარების ღონისძიებებსა და დონორების პროგრამებში.

სერეპრული დამბლა მედიცინის შეხედულებით

ნენსი პ. ფინი

ცერებრული დამბლა – ეს მოძრაობის დარღვევაა, და მშობლების უმრავლესობა, ბუნებრივია, ძირითად ყურადღებას უთმობს ბავშვის მოძრაობითი შესაძლებლობების განვითარებას, განსაკუთრებით ყველაზე ადრეულ პერიოდში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ გააჩნიათ იმედი იმისა, რომ ბავშვი შეძლებს მეტნაკლებად სიარულის დაწყებას. ერთერთი გაურკვეველობათაგანი ის არის, რომ ზოგიერთი ადამიანი მათ სთავაზობს ბავშვის მოძრაობითი შესაძლებლობების განვითარების სხვადასხვა მეთოდებს. ჩვენს წიგნში არ იქნება განხილული ეს მეთოდები, ჩვენ გთავაზობთ ბავშვის მოძრაობითი განვითარების პრაქტიკულ გზას.

ექიმმა, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან ურთიერთშეთანხმებით, უნდა დასახოს რეალური მიზანი და დაამუშაოს მკურნალობის ისეთი გეგმა,

რომელიც ხელს არ შეუშლის ბავშვის ნორმალური ცხოვრების მიმდინარეობას, პატარა ბავშვის ნორმალურ ცხოვრებას.

პირველი მნიშვნელოვანი მომენტი – მოიფიქროს, როგორი სახით წარმართოს სწორი მოძრაობის სტიმულირაცია. კარგადაა ცნობილი, რომ ცხოველების ნაშიერები დაბადებისთანავე იწყებენ სიარულს. ახლახანს ქვეყანას მოვლენილი პატარა გოჭი, მაშინვე იწყებს სირბილს ძუძუს მოსაძებნად. კვიცი მაშინვე ფეხზე დგება და დედასთან ერთად დარბის. ახლად დაბადებული ადამიანი უძლურია ადგეს და გაიაროს, და ადამიანთა უმრავლესობა თვლის, რომ ბავშვები სია რულს სწავლობენ სიცოცხლის პირველი წლინახევრის განმავლობაში. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ბავშვი, ისევე, როგორც ცხოველები, სიარულის უნარს იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი

გაგრძელება ➔



ტვინი მზადაა ამისათვის. მანამდე კი სიარულის სწავლა შეუძლებელია. – ეს გახლავთ ტვინი, განვითარების პირველი ეტაპი. სინამდვილეში ბავშვი კარგად ამოდრავებს ფეხებს, მაგრამ მას არ შეუძლია სიარული ერთი მიზეზის გამო – ბავშვს არ შეუძლია წონასწორობის დაცვა და თუ ხელი არ წაავლე, დაეცემა. წონასწორობის რეაქცია ვლინდება მხოლოდ 6-10 თვის ასაკიდან და სანამ წონასწორობის გრძნობა არ განვითარდება, ბავშვი დამოუკიდებელ სიარულს ვერ შეძლებს. მანამდე კი პატარა გადაადგილების სხვა საშუალებებს ძებნის და ნახულობს კიდევ – ხოხავს, ცოცავს და ხანდახან ნახტომებსაც აკეთებს, გამუდმებით ფეხებს და ხელებს იქნევს და აკეთებს სხვადასხვა, ხანდახან დიდი ადამიანისათვის მიუწვდომელ მოძრაობებს. ხანდახან ტვინის ნაწილში, სადაც მიმდინარეობს მოძრაობისა და წონასწორობის შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობაში წონასწორობის რეაქციას, არ ვითარდება. ეს იმიტაც ჩანს, რომ ბავშვს შენარჩუნებული აქვს

ზოგიერთი პრიმიტიული რეფლექსები, მაგალითად ასიმეტრული კისრის ტონურ რეფლექსები (მაგნუს-კლაინის რეფლექსი) – „მოფარკავის პოზა“ (იხ. მე-5 თავი). ამ ნიშნის მიხედვით ორი წლის ბავშვსაც კარგად ემჩნევა, შეძლებს თუ არა ის სიარულს. პრაქტიკულად ჰემიპლეგიის დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვი შეძლებს სიარულს, მაგრამ მრავალი ბავშვი სპასტიკური დიპლეგიის და უმრავლესობა ტეტრაპლეგიის დიაგნოზით სიარულს ვერასდროს ვერ შეძლებენ. ასევე შეიძლება ითქვას ხელების მიზანმიმართულ მოძრაობაზეც. მათი სწავლება შეუძლებელია, რადგანაც ისინი წარმოიქმნებიან ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების შედეგად. თავიდან ხელის თითებით ჩავლებით მოძრაობებში მონაწილეობას იღებენ ყველა თითები, და მხოლოდ მე-9_მე-10 თვეში ჩნდება ე.წ. ჩანგლისებური ჩავლება: კარგად გამოიკვეთება დიდი თითის და მაჩვენებელი თითის მოძრაობები და პატარას ორი თითით უკვე შეუძლია მცირე საგნების აღება, ისეთებისა, როგორიცაა ლობიო, ქიშმიში, ლილეები და ა.შ. ჩანგლისებური ჩავლებითი მოძრაობების განვითარება შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც ფორმირდება ის ნერვული გზები, რომლებიც აკავშირებენ თავის ტვინის ქერქის უჯრედებს ხერხემლის ტვინის უჯრედებთან. ეს გზები ფორმირებას იწყებს დაახლოებით 8 თვის ასაკიდან, რომლის შემდეგაც ჩნდება ე.წ. „ჩანგლისებური ჩავლება“. თუ ჩანგლისებური ჩავლება არ ვითარდება ბუნებრივი გზით, მაშინ არც ერთი ვარჯიშით არ არის შესაძლებელი მისი განვითარება. მაგრამ თუ ჩავლების ასეთი მეთოდი პატარის არსენალში არსებობს, მაშინ ეს ხდება ნატიფი მოძრაობის შესრულების ძირითადი საშუალება. რა თქმა უნდა, ჩვენ შევიძენთ ისეთ რთულ ჩვევებს, როგორიც პიანინოზე დაკვრა და წერის სწავლაა, მაგრამ ყველაფერ ამას დასჭირდება სპეციალური სწავლება. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი რთული საქმიანობა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვისათვის შეიძლება იყოს ძალიან ძნელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ ცოტა შეგვიძლია დავეხმაროთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

სხადი ხაზი მხარხმარებელ მხარხმარებლობის საკითხებზე



„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ არის არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია, სადაც ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სერვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე. სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, 10:00–18:00
 ცხელი ხაზი: 0800900902
www.macgeorgia.org



პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

ყვინთი ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაქაძის საავტორო გადაცემას
"ადამიანები ენსევაჟმული შესაძლებლობებით"

www.imediplusi.ge



9 771987 716000



ორბელიანის სკვერი